ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 20 სექტემბერი, 2017 №223 (7458) ფასი: 50 თეთრი

5 ბინა თბილისში – რა ქონებას ფლობს დეპუტატი, რომლის ქონებაც 2 მილიონ ლარად არის შეფასებული

გვ.5

19 სექტემბრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი

„მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

„ქართუ“ ივანიშვილის ფულის სარეცხი მანქანაა“

ლევან ხაბეიშვილი: „უნდა დადგინდეს, რა შავი ფული თეთრდება საქართველოში“

გვ.2

თეიგიზ შარმანაშვილი: „საკონსტიტუციო ცვლილებების მთავარი მონაპოვარი საპარლამენტო მოდელზე გადასვლაა“

გვ.3

თუ ჩვენ გვინდა ევროპაში საქართველოს ინტეგრაცია მოხდეს სამართლებრივად, მენტალურად, ამ სამართლებრივი სივრცის ნაწილი უნდა გავხდეთ

მიხეილ სააკაშვილი კიევში ჩავიდა

გვ.2

მე მივემგზავრები კიევიდან ცენტრალური უჯრედინაში და გავაგრძელებ ქვეყანაში მოგზაურობას და ხალხთან შეხვედრებს. 17 ოქტომბერს კი ისევ აქ შევიკრებით უჯრედინელი ხალხის უფლებების დასაცავად

თემურ ჭიჭინაძე: „2012 წლიდან დენის ტარიფი კატასტროფულად არის გაზრდილი“

გვ.6

ISSN 1987-9385

გვ.6

სასაკლაოების ნაწილი შესაძლოა, დაიხუროს

გვ.5

რატომ ვერ გამყარდა ლარი ტურისტების მიერ დახარჯული 1.86 მილიარდი დოლარით

ვახტანგ ხმალაძე: „ქვეყნის სტაბილურობისთვის აუცილებელია სამართლიანი საარჩევნო სისტემა“

გვ.4

პრეზიდენტის ირიბი არჩევნები მხოლოდ ერთ პარტიაზე ვერ იქნება დამოკიდებული

„ქართუ“ ივანიშვილის ფულის სარეცხი მანქანაა“

ლევან ხაბეიშვილი: „უნდა დადგინდეს, რა შავი ფული თეთრდება საქართველოში“

შორენა მარსაგიშვილი

ჩატომ გაახსენდათ ნაციონალებს აჩჩევნების წინ „ქართუ", ჩოგოჩ თეთჩდება ამ ბანკში ფული, ვის ხაჩჯზე აფინანსებს ივანიშვილი ინტელიგენციის ნანილს? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ნაციონალუჩი მოძჩაობის ეჩთ-ეჩთი ღიდეჩი ღევან ხაბეიშვილი ესაუბჩება.

– გუშინ, 19 სექტემბერს, ნაციონალური მოძრაობის წევრები მიუვარდით „ქართუ ბანკს“ და ფულის გათეთრებაში დაადანაშაულეთ. მაინცდამაინც არჩევნების წინ რატომ შეგაწუხათ ფულის გათეთრების ამბავმა?

– ჩვენი ბოლო კვლევა ეხებოდა „ქართუს“ სადაზღვევო კომპანიას, რომელიც სახელმწიფო ტენდერებში 2014 წლიდან იღებს მონაწილეობას. საუბარია ავტომანქანების დაზღვევაზე. აღმოვაჩინეთ, რომ ამ კომპანიას უკანასკნელი 1,5 წლის განმავლობაში 1.800.000 ლარის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული სხვადასხვა სამინისტროებთან და დედაქალაქის მერიასთან.

ამ კომპანიის გენერალური დირექტორი გახლავთ ბიძინა ივანიშვილის საყვარელი დეიდაშვილის, უჩა მამაცაშვილის ძმა არჩილი.

– არჩილიც ბიძინას დეიდაშვილი გამოდის.

– თავისთავად, მაგრამ როგორც ამბობენ, უჩა უფრო უყვარს. „ქართუს“ სადაზღვევო კომპანიის ერთ-ერთი მეწილე გახლავთ ალა კახნიაური. ეს ქალი ბიძინა ივანიშვილის კარზე ნდობით აღჭურვილ პირად ითვლება. ამას ადასტურებს ისიც, რომ ალამ და ბიძინამ არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქე“ ერთად დააფუძნეს. ქალბატონი ალას კომპანიაც ღებულობს სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობას და მილიონ ლარზე მეტის შეკვეთა აქვს მიღებული.

ჩვენ ვნახეთ, რომ მხოლოდ ორმა კომპანიამ ამ მოკლე პერიოდში 2.800.000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა.

„ქართუ ბანკის“ ოფისთან იმიტომ გავმართეთ აქცია, რომ სადაზღვევო კომპანიას ოფიციალურად ეს მისამართი აქვს მითითებული.

აქცია შეიძლება მართლაც დაგვიანებულია – მილიარდერი ივანიშვილის და მისი დეიდაშვილების გამდიდრება უწევს გაღატაკებულ ქართველ ხალხს.

დეიდაშვილები ვახსენე და ივანიშვილის საყვარელ დეიდაშვილს 1 ლარად აჩუქეს 2 მილიონი ლარის ქონება. ამბობდნენ, რაღაც ინვესტიცია უნდა ჩადოსო. ძმას არც არჩილი ჩამორჩა და ბიზნესინტერესები გამოავლინა – ბოლო 1,5 წლის მანძილზე ლამის 2 მილიონის ღირებულების ხელშეკრულება გააფორმა.

– აქამდე არ იყო ამის შესახებ თქვენთვის ცნობილი?

– ცნობილი როგორ არ იყო, მაგრამ ოფიციალური დოკუმენტები გვჭირდებოდა. ახლა მოვიპოვეთ ეს მასალები და მივედით აქციის ჩასატარებლად. ხალხმა უნდა გაიგოს, რომ „ქართუ“ არის ბოროტების სიმბოლო, სადაც შავი ფული თეთრდება.

– რა მეთოდებით ხდება იქ ფულის გათეთრება? გაქვთ ამის დამამტკიცებელი მასალები?

– „ქართუ“ არის სარეცხი მანქანა, რომელიც შავ ფულს ათეთრებს. აქ მარტო ივანიშვილის ფული არ თეთრდება. იქ დიდი ოდენობით შედის შავი ფული. ჩვენი აქციის მთავარი მოთხოვნა ამ მიმართულებით გამოძიების დაწყება იყო. უნდა გავიგოთ, რა შემოსავლები აქვს „ქართუ ჯგუფს“, „ქართუ ბანკს“ ან ფონდ „ქართუს“.

ეს აუცილებლად დასადგენია, რადგანაც მიდის ჩვენი ძარცვა. გვპარავენ მილიონებს და მილიარდებს. შემდეგ ამოარჩევენ ინტელიგენციის წარმომადგენლებს. გადაიხდიან გროშებს და ყიდულობს მათ.

– ივანიშვილის ფონდი ამ ადამიანებს წლებია, რაც ეხმარება?

– მე ამას დახმარებას არ ვეძახი. ივანიშვილი თავის ფულს არავის არ ჩუქნის. რუსი ოლიგარქი მოსახლეობის ჯიბიდან ამოცლილი ფულით ასაჩუქრებს ინტელიგენციის ნაწილს.

ხალხის ჯიბიდან ამოცლილი ფულით ფინანსდება „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანია. ამავე ფულს აძლევს ივანიშვილი მინისტრებს.

– მინისტრებისთვის ფულის მიცემაში მათ მიერ აღებულ კრედიტებს გულისხმობთ?

– დიახ. ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, საიდანაც ჩანს, რომ მინისტრების ნაწილს „ქართუდან“ ასეულობით ათასი ლარის კრედიტი აქვს გამოტანილი. ჩვენ ვნახეთ, რომ მინისტრების შემოსავალი და გასავალი არაადეკვატური იყო – შემოსავალს აჩვენებდა X-ს, გასავალი ჰქონდა 2X.

„ქართუ“ ნაციონალებს სასამართლოში უჩივის

აქ ორი ამბავია, ან მინისტრი კორუფციაშია ჩაბმული და არალეგალური შემოსავალი აქვს, რასაც არ უჩივიან, ან პირდაპირ შავი ფული თეთრდება. ივანიშვილმა ამ ხალხს ფული ასესხა და შემდეგ თავად უფარავს ამ კრედიტს. ფაქტიურად ეს ხალხი ნაყიდი ყავს.

ძალიან სერიოზულ მაქინაციებთან გვაქვს საქმე. ტყუილად კი არ გვქონდა მესიჯი – თქვენ შრომობთ, ისინი ძარცვავენ და იპარავენ. კიდევ გავიმეორებ, რომ „ქართუ“ რუსი ოლიგარქის ფულის სარეცხი მანქანაა.

ეს „ქართუ“ ყველა უბედურების და ხალხის სიღატაკის სათავეა.

– ხალხის გაღატაკებასთან „ქართუს“ რა კავშირი აქვს?

– პირდაპირი. 2015 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, „ქართუს“ მოგება 1,657%-ით გაიზარდა. სხვათა შორის, ეს ის პერიოდია, როცა ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში მკვეთრად გაუფასურდა.

შემოწირულობებიც საინტერესო თემაა. „ქართულმა ოცნებამ“ 7 მილიონის შემოწირულობა მიიღო. იცით, საიდან ღებულობენ ამ შემოწირულობებს? სახელმწიფო ტენდერებს იგებენ, მერე მიდის „ატკატები“.

ეს არის რუსი ოლიგარქის მიერ მოფიქრებული სქემა. ჩვენთვის მოპარული ფულით ვიღაცას კინკილა 100 და 50 ლარს გადაუგდებენ და ასე ყიდულობენ ხმებს არჩევნებისთვის.

მინდა საარჩევნო ბანერებსაც შევეხო, ყველა თბილისელი დამეთანხმება, რომ ყველგან კალაძის ბანერია. საითაც გაიხედავ, ყველგან ის არის. საარჩევნო რეკლამაში მილიონობით ლარი იხარჯება.

დედაქალაქში ბანერები მრავლად აქვთ განთავსებული ევროქოცებს.

– ევროქოცებში „ევროპულ საქართველოს“ გულისხმობთ?

– მაგათ ვგულისხმობ. ევროქოცები და ქოცები ივანიშვილს გულზე მალამოდ ედებიან და მაგიტომაც არის მათი პლაკატებით და ბანერებით გადავსებული ქალაქი. „ქართული ოცნება“ პირდაპირ ბიუჯეტიდან ფინანსდება. იმას ვერავინ დამაჯერებს, რომ ბიზნესმენები საკუთარი სურვილით სწირავენ ფულს „ოცნებას“.

– ხომ შეიძლება ვიღაცას გაუჩნდეს ასეთი სურვილი?

– ამ ბიზნესგარემოში ასეთი სურვილი არავის გაუჩნდება. ვისაც სჯერა, რომ ბიზნესმენები ამას საკუთარი სურვილით აკეთებენ, ბოდიში, მაგრამ სირაქლემას პოზაში არიან.

– თავის დროზე, როცა თქვენი პარტია ხელისუფლებაში იყო, ისიც იღებდა ამგვარ შემოწირულობებს. არც მაშინ უხაროდათ ბიზნესმენებს მმართველი პარტიისთვის ფულის შეწირვა.

– მერე ვინ ამბობს, რომ ნაციონალურ მოძრაობაში უფრთო ანგელოზები იყვნენ და ეს კარგი იყო. ასეთ შემოწირულობებს რომ ვიღებდით, მაგიტომაც ვართ ახლა ოპოზიციაში.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოებრიობა ფეხზე დავაყენეთ, შეცდომები გვქონდა. კარგად გახსოვთ ალბათ, 2003 წლამდე სახელმწიფო ბიუჯეტი მილიარდიც არ იყო. 9 წლის თავზე 9 მილიარდი გახდა. ამათაც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ყოველ წელს თითო მილიარდით რომ გაეზარდათ ბიუჯეტი, „ქართულ ოცნებას“ ვერავინ ვერ გააკრიტიკებდა.

2003 წლამდე მთავარი პროკურორის ხელფასი იყო 400 ლარი და ის, ბუნებრივია, იქნებოდა კორუმპირებული. მთელი პროკურატურა, ბოდიში და, გაფარჩაკებული იყო. სახელმწიფო ინსტიტუტები ფეხზე დავაყენეთ, მაგრამ შეცდომებიც დავუშვით და ახლა ოპოზიციაში ვართ.

მიშა, მიშაო იძახიანო, მაგრამ მთელ რიგ ქალაქებს ჩამოგითვლით, სადაც სერიოზული პროექტები განხორციელდა. ამათ ერთი სერიოზული პროექტი დამისახელონ. ქვეყანა სრულიად გაჩერებულია.

ნაციონალების დროს ხუდონჰესზე ტანსაცმელს იხევდნენ, მისი აშენება როგორ შეიძლებაო. ახლა ამტკიცებენ, საქართველოს გადარჩენის კოდი აქ დევსო. მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების აშენების დროს სასაფლაოებს გადაუარეს ტრაქტორებით.

მოკლედ რომ ვთქვათ, მაგარ შარში ვართ და ამ ყველა უბედურების სათავე არის რუსი ოლიგარქი და მისი ფულის სარეცხი მანქანა „ქართუ“.

– „ქართუს“ მიმართ გამოთქმულ თქვენს ბრალდებებს უკვე გამოეხმაურა თქვენ მიერ ნახსენები ალა კახნიაური. ის ამბობს, რომ ყველაფერი, რაც თქვით, სიცრუეა და ის თქვენს წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებს.

– ჯვარი ეწეროს ქალბატონ ალას, სადაც უნდა, იქ მიჩივლოს. აქ რომ ყველა ინსტანციას გაივლის, სტრასბურში წავიდეს. ყველას აქვს სასამართლოში ჩივილის უფლება. მინდა კიდევაც, რომ მიჩივლოს, იქნება ასეთ შემთხვევაში მაინც დაიწყოს იმის გამოძიება, რა შავ ფულს ათეთრებს რუსი ოლიგარქი.

შორენა მარსაგიშვილი

მიხეილ სააკაშვილი კიევში ჩავიდა

საქართველოს მესამე პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დანაპირები შეასრულა და გუშინ, 19 სექტემბერს, კიევში ჩავიდა. მართალია, მან უკრაინის დედაქალაქში მხოლოდ რამდენიმე საათი დაჰყო, მაგრამ ხალხის აჟიტირება მაინც მოახერხა.

თავის მომხრეებსაც საბრძოლო განწყობა გაუორმაგა. იულია ტიმოშენკოში ეს გრძნობა აშკარად გაათმაგდა. ის უმაღლესი რადის საპარლამენტო ფრაქციების ლიდერების შეკრებაზე მისთვის უჩვეულო ფორმაში მივიდა.

უკრაინული მედიის შეფასებით, რადაში ტიმოშენკო ნაპოლეონის მუნდირში გამოწყობილი გამოცხადდა.

საგანგებო რეჟიმზე იყვნენ გადასული ძალოვანი სტრუქტურებიც. უკრაინული მედიის ცნობით, 19 სექტემბრის დილისთვის სამთავრობო შენობებს განსაკუთრებულად იცავდნენ. კიევში არ გამორიცხავდნენ, რომ ჩვენებური სადმე შეიჭრებოდა.

შეჭრა-შევარდნისგან ოდესის ყოფილმა გუბერნატორმა ამჯერად თავი შეიკავა. ის მომხრეებთან ჩახუტებით და პრესკონფერენციის ჩატარებით შემოიფარგლა.

სააკაშვილის განცხადებით, მისთვის მოქალაქეობის აღდგენის საკითხით მთელი მსოფლიოა დაინტერესებული.

– მე ახლა აქ ხალხის გადაწყვეტილების წყალობით ვიმყოფები. როგორც იცით, პრეზიდენტ პოროშენკოს მსოფლიოს რამდენიმე ლიდერმა ჩემს საკითხზე სალაპარაკოდ დაურეკა და

ის ყველას ერთი და იგივეს პასუხობს. ამბობს, რომ მიკვირს, რატომ არ მიდის სააკაშვილი სასამართლოშიო.

მას სურს, რომ მე სასამართლოს მივმართო და მოქალაქეობის საკითხი იქ გავარკვიო. მათ ჯერ ხელი მოაწერეს გაურკვეველ განკარგულებას, რომელსაც დიდი ხნის განმავლობაში არ მაძლევდნენ, გამოაქვეყნეს ჩემი ანკეტა, მაგრამ არ წარადგინეს არანაირი მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლის საფუძველზე შევძლებ, სასამართლოს მივმართო. წარმოიდგინეთ, როგორ მოექცევიან რიგით მოქალაქეებს, როდესაც მე ზურგს მიმაგრებენ სახალხო დეპუტატები და ამ საკითხით მთელი მსოფლიო ინტერესდება. ამის მიუხედავად, ასე მოქმედებენ, ამიტომ ვიბრძვი. აქ ჩამოვედი, რომ ადვოკატების

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თენგიზ შარმანაშვილი: „საკონსტიტუციო ცვლილებების მთავარი მონაპოვარი საპარლამენტო მოდელზე გადასვლაა“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემნე სამართლებრივ საკითხებში, კონსტიტუციონალისტი თენგიზ შარმანაშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებსა და მის შედეგებზე საუბრობს.

თუ ჩვენ გვინდა ევროპაში საქართველოს ინტეგრაცია მოხდეს სამართლებრივად, მენტალურად, ამ სამართლებრივი სივრცის ნაწილი უნდა გავხდეთ

– ბატონო თენგიზ, 26 სექტემბერს აპირებს პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებებს მესამე მოსმენით მიღებას?

– ჯერ რიცხვი ცნობილი არ არის, ჯერ კიდევ ზუსტდება და დგინდება, თუ როდის იქნება კენჭისყრა.

– როგორ შეაფასებთ პროცესს, რამდენად შეიძლება ამ საკონსტიტუციო ცვლილებებს თანხმობის დოკუმენტი ვუწოდოთ?

– ეს ჩემთვის პოლიტიკისა და ბელეტრისტიკის თემაა. კონსტიტუციაში ცვლილებები კონსტიტუციითვე დადგენილი წესებით შედის. შემიძლია, როგორც იურისტმა გითხრათ, რომ კონსტიტუციით დადგენილი წესი დაცულია. ცვლილებები შევიდა კონსტიტუციის ნორმების გათვალისწინებით. დანარჩენი არის ვნებები, რომელსაც დიდი მნიშვნელობა არა აქვს ჩემთვის. მთავარია, კონსტიტუციაში რა არის ლეგიტიმური და რა არ არის ლეგიტიმური.

– ვენეციის კომისიის საბოლოო დასკვნა როგორი იქნება, როგორი მოლოდინი გაქვთ?

– რთულია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ თუ წინა შუალედურ დასკვნებს გავითვალისწინებთ და კომისიის ხელმძღვანელობის გამონათქვამებს, მათ ძირითად ტექსტთან პრობლემა არა აქვთ. ერთადერთი, რაზეც აქცენტს აკეთებდნენ, იყო ის, რომ 2020 წელს ამოქმედებულიყო პროპორციული საარჩევნო სისტემა. ჩემი აზრით, იგივე შენიშვნები იქნება, არ გამოვრიცხავ, რომ ასევე იყოს მეტ კონსენსუსზე საუბარი. ეს ჩემი ვარაუდია, პარასკევამდე დიდი დრო არ არის და დაველოდოთ საბოლოო დასკვნას.

– მთავარი მონაპოვარი რა არის ამ ცვლილებების, რას გამოყოფთ?

– მთავარი მონაპოვარი არის ის, რომ საქმე ბოლომდე იქნა მიყვანილი. საბოლოოდ გადაიდგა ნაბიჯი საპარლამენტო რესპუბლიკისკენ. ახლაც, ჩვენ, რეალურად საპარლამენტო რესპუბლიკის სივრცეში ვართ, მაგრამ 2010 წელს გარკვეული მიზეზებით ამ საქმის ბოლომდე მიყვანა ვერ მოხერხდა. მაშინ ვენეციის კომისიასაც ეს შენიშვნა ჰქონდა, გვეუბნებოდნენ, სწორი ნაბიჯი გადადგით, მაგრამ საქმე არ არის ბოლომდე მიყვანილი. ამ ცვლილებებით, კონსტიტუციის ძირითადი ტექსტიდან გამომდინარე, ჩვენ უკვე სრულად გადავდივართ საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე ყველა დამახასიათებელი ელემენტით. ეს არის სწორედ მთავარი მიღწევა.

– მრავალ მოდელში გვიცხოვრია – სუპერ საპრეზიდენტო რესპუბლიკაში, შერეულ მოდელში, მაგრამ საპარლამენტო მოდელი არასდროს გვქონია. რამდენად გაამართლებს?

– გაამართლებს, უნდა გაამართლოს.

– რა არგუმენტები გაქვთ?

– გეტყვით: პირველი, ჩვენ თუ ევროპაში მივდივართ, ევროპის ქვეყნების უდიდესი უმრავლესობა საპარლამენტო მოდელის რესპუბლიკებია, რამდენიმე გამონაკლისია. ალბათ ხვდებით, რომ კონსტიტუციურ მონარქიებსაც ამ სისტემას მივაკუთვნებ.

– საპარლამენტო მოდელს.

– დიახ, ცხადია, ევროპულ მონარქიებს ვგულისხმობ. თუ ჩვენ ევროპაში გვინდა საქართველოს ინტეგრაცია მოხდეს სამართლებრივად, მენტალურად, ჩვენ ბოლოსდაბოლოს ამ სამართლებრივი სივრცის ნაწილი უნდა გავხდეთ.

საპრეზიდენტო მოდელმაც, შერეულმა მოდელმაც და არაშერეულმაც ერთი რამ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ყველა პრეზიდენტი ღამის ჯოხებითა და ქვებით გაგვიხდა გასაშვები. ერთხელ და საბოლოოდ ხომ უნდა გავიაზროთ – რატომ?!

არსებული ყველა მოდელი ჩვენი რეალობისთვის, ჩვენი მენტალობისთვის ყოვლად წარმოუდგენელი იყო.

– ძალაუფლების უზურპაცია ხდება?

– დიახ. ამას ემატება, ძალიან თეატრალური ხალხი ვართ. როდესაც ვინმეს ეუბნები, რომ შენ ხარ მთავარსარდალი, ეგრევე წარმოუდგენია, რომ თეთრ ცხენზე უნდა ამხედრდეს და უნდა გავყვეთ მთელი ერი. სახელმწიფოს მეთაური და მთავარსარდალი, რომელსაც პირდაპირი ლეგიტიმაცია აქვს, იმას კი არ უყურებს, რა უფლებამოსილება აქვს, რა უწერია კონსტიტუციაში. ცნებების ტყვეობაშია, ჩვენც, ხალხიც. ალბათ ხშირად გსმენიათ: როგორ, კაცი ქვეყნის მეთაურია და უფლებამოსილებები არ უნდა ჰქონდეს?! ესპანეთის მეფეც სახელმწიფოს მეთაურია და უმაღლესი მთავარსარდალია ესპანეთის, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში იმპერატორის უფლებამოსილებები ჰქონდეს. ეს არის ჩვენი მთავრი უბედურება, რომლის ორომტრიალიდან 25 წელია ვერ გამოვდივართ. ავირჩევთ ვინმეს და ვეუბნებით, შენ ხარ ბატონიცა და პატრონიც, შენ უნდა გადაგვარჩინო. ხუთი წლის შემდეგ აღმოვაჩენთ, რომ არ ვარგა ეს ბატონი თუ პატრონი და ჯოხებით მივადგებით. ეს ჩაკეტილი წრე თუ გვინდა, რომ გავარღვიოთ, მაშინ უნდა გადავიდეთ რეალურ საპარლამენტო მმართველობაზე.

– საპარლამენტო რესპუბლიკაში ავტორიტარიზმის საფრთხე არ არის?

– საპარლამენტო რესპუბლიკაში ავტორიტარიზმი შეუძლებელია. პრემიერ– მინისტრს, რაც არ უნდა ძლიერი იყოს, იმუნიტეტი არ იცავს. ასევე პრემიერ-მინისტრი პირდაპირი წესით ხალხის მიერ არ არის არჩეული. ამდენად, ზედმეტი ამბიციებიც არ შეიძლება ჰქონდეს. კიდევ ერთი, ახალი მოდელით მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა გამარტივებულია დღევანდელი მოდელისგან განსხვავებით. მთავრობა ყოველთვის იმაზე უნდა ფიქრობდეს, რომ არ გადადგას ისეთი ნაბიჯი, რომ პარლამენტმა მას უნდობლობა გამოუცხადოს. ქვეყნის რეალური მმართველი, როდესაც ასეთ პირობებში იქნება, როდესაც რეალურად ის პარლამენტის კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული, იფიქრებს იმაზე, რომ არ გადადგას ეკონომიკაში, პოლიტიკაში ისეთი ნაბიჯი, რომელიც პარლამენტის აღშფოთებას, უნდობლობის გამოცხადებას გამოიწვევს. ამდენად, ამ მოდელში დიქტატურა ნაკლებად არის შესაძლებელი. ეს კარგად აჩვენა ევროპულმა გამოცდილებამ. იმპიჩმენტი მაინც სხვა პროცედურაა. იმპიჩმენტის შემთხვევაში დანაშაულის ჩადენა უნდა მოხდეს. იმპიჩმენტი, მე ვიტყოდი, მაინც ეფემერული პროცედურაა. დანაშაულის ჩადენა და დამტკიცება უნდა მოხდეს. ჩვენნაირ ქვეყნებში ასეთი პრეზიდენტები, მაინც ავტორიტარიზმისკენ არიან მიდრეკილნი. ერთი პრეზიდენტი მაინც დამისახელეთ, რომელიც არჩევნების გზით წავიდა, ალბათ მეტყვით ბოლოს სააკაშვილი, მაგრამ 2012 წლის არჩევნები პრაქტიკულად ხავერდოვანი რევოლუცია იყო. ხალხმა აჩვენა თავისი ძალა.

– ბატონო თენგიზ, გავრცელებული ხმებით პრეზიდენტი ვეტოსთვის ემზადება.

– ჩემთვის ამაში გასაკვირი არაფერი იქნება. პრეზიდენტს ეს გზა აქვს არჩეული.

– პროცედურები იგივეა? საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტის ვეტოს დაძლევს...

– დიახ, პროცედურები იგივე არის. პრეზიდენტის ამ ვეტოს დაძლევას იმდენივე ხმა სჭირდება, რამდენიც კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას სჭირდება. დანარჩენი პროცედურა იდენტურია.

მიხეილ სააკაშვილი კიევში ჩავიდა

დასაწყისი მე-2 გვერდზე

საშუალებით, პრეზიდენტის ადმინისტრაციას ეს დოკუმენტები გადავცე, – განაცხადა კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე ჩვენებურმა.

მან პრესკონფერენციაზევე თქვა, რომ კიევიდან წასვლას აპირებდა და იქ დაახლოებით ერთი თვის შემდეგ დაბრუნდებოდა.

– მე მივემგზავრები კიევიდან ცენტრალურ უკრაინაში და გავაგრძელებ ქვეყანაში მოგზაურობას და ხალხთან შეხვედრებს. 17 ოქტომბერს კი ისევ აქ შევიკრიბებით უკრაინელი ხალხის უფლებების დასაცავად, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრესკონფერენცია მან პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან გამართა, სადაც იმ დოკუმენტების გადმოცემას ითხოვდა, რომლებსაც სასამართლოს წარუდგენდა.

– სასამართლოში წასასვლელად არც ერთი დოკუმენტი არ მაქვს. მათ ხელი მოაწერეს განკარგულებას, მაგრამ არც ერთი დოკუმენტი არ მომცეს, რომლითაც სასამართლოში წავიდოდი, – შესჩივლა მან მხარდამჭერებს.

როგორც გაირკვა, ის საიმიგრაციო სამსახურის დოკუმენტაციას, მოქალაქეობის ჩამორთმევის განკარგულების ასლს, ასევე მოქალაქეობის საკითხებში შესაბამისი კომისიის სხდომის ოქმის ასლსა და თანმდევ წერილებს ითხოვს.

აქციაზე მან პოროშენკოზეც ისაუბრა და ამტკიცებდა, უკრაინის პრეზიდენტთან პირადად მე არანაირი კონფლიქტი არა მაქვსო.

– პოროშენკოსთან კონფლიქტი არ მაქვს. ეს მას აქვს ჩემთან კონფლიქტი. ამერიკაში წარმატებებს ვუსურვებ. იქ უკვე ვყოფილვარ, – თქვა სააკაშვილმა.

ამავე პრესკონფერენციაზე სააკაშვილმა ფულის ოთახის შესახებ გააკეთა განცხადება.

სააკაშვილის თქმით, უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობაში ნაღდი ფულის შესანახად ცალკე ოთახი არსებობს.

მის ამ განცხადებას სასწრაფოდ გამოეხმაურა პოროშენკოს გარემოცვა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლების თქმით, ეს განცხადება ჰალუცინაციაა.

– ეს ფულის ოთახი ჩვეულებრივი მედპუნქტია. მართალია, იქ, შესაძლოა, ვერც უშვეულონ ადამიანს, რომელსაც ჰალუცინაცია აქვს, – ასე გამოეხმაურა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვლადიმერ გორკოვენკო სააკაშვილის განცხადებას ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

ირაკლი კობახიძე: „არ ვაპირებთ მივიღოთ არც ერთი ნორმა, რომელიც ვენეციის კომისიის მხრიდან ნეგატიურ შეფასებას მიიღებს“

– ჩვენ ვასრულებთ დაპირებას და არ ვაპირებთ მივიღოთ არც ერთი ნორმა, რომელიც ვენეციის კომისიის მხრიდან ნეგატიურ შეფასებას მიიღებს, – ამის შესახებ განცხადება პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის სხდომაზე გააკეთა.

მისივე შეფასებით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ მიღებული დოკუმენტი არის საპარლამენტო მმართველობის სისტემის დახვეწისკენ მიმართული დოკუმენტი.

– ჩვენ მაღალ შეფასებას ვაძლევთ თქვენს ინტერესს საკონსტიტუციო რეფორმის პროცესისადმი. უპირველეს ყოვლისა, მსურს შეგახსენოთ, რომ პროცესი დაიწყო გასული წლის დეკემბერში, როდესაც შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია საქართველოს პარლამენტში.

ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ძალიან მაღალი მონაწილეობის და ჩართულობის პროცესი ყოფილიყო, რათა შედეგი მიღწეული ყოფილიყო. უმრავლესობით კი არ ყოფილიყო ეს რეფორმები განხორციელებული, არამედ ყოფილიყო მაღალი მონაწილეობა და ამიტომაც შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია 2016 წლის დეკემბერში.

ეს იყო „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დაპირება, რომ გაუმჯობესებულიყო კონსტიტუცია. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დაპირება, რომელიც მმართველმა პარტიამ მოსახლეობას საპარლამენტო არჩევნების წინ მისცა, რომ დაიხვეწებოდა დოკუმენტი და ჩვენ ვმოქმედებთ ამ დანაპირების შესაბამისად. ჩვენ დეკემბერში დავიწყეთ ეს პროცესი, როდესაც სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია შეიქმნა. იანვარში კომისიამ მუშაობა დაიწყო. კომისიაში 73 წევრი იყო და მათი უმრავლესობა მუშაობის პროცესში აქტიურად იყო ჩართული.

იყო ერთი გამონაკლისი – პრეზიდენტის ადმინისტრაცია, მათ ჰყავდათ სამი წევრი წარმოდგენილი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში და არც ერთი მათგანი არ იღებდა მონაწილეობას მუშაობის პროცესში. მიზეზი გაუგებარი იყო ჩვენთვის.

საბოლოოდ, მუშაობის პროცესი მაღალი ჩართულობით მიმდინარეობდა. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ძალიან აქტიურად თანამშრომლობდა ვენეციის კომისიასთან.

პროცესის დასაწყისში ჩვენ გავაკეთეთ უნიკალური განაცხადი – საქართველოს პარლამენტი არ მიიღებდა არც ერთ ნორმას, რომელსაც უარყოფითად შეაფასებდა ვენეციის კომისია. რა თქმა უნდა, ჩვენ ვასრულებთ ამ დაპირებას და არ ვაპირებთ მივიღოთ არც ერთი ნორმა, რომელიც ვენეციის კომისიის მხრიდან ნეგატიურ შეფასებას მიიღებს. ჩვენ გვქონდა ძალიან ნაყოფიერი თანამშრომლობა ვენეციის კომისიასთან და კვლავ ვაგრძელებთ აქტიურ თანამშრომლობას საკონსტიტუციო რეფორმის თაობაზე.

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ოთხი თვის განმავლობაში მუშაობდა. ეს იყო ძალიან ინტენსიური პროცესი, თითქმის ყოველდღიური შეხვედრებით. შეხვედრებს ხელმძღვანელობდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. ამ პროცესს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საქართველოს პარლამენტის ხელმძღვანელობის მხრიდან.

პროცესის დასასრულს, ჩვენ მაღალი ხარისხის პროდუქტი მივიღეთ – ეს იყო მიმდინარე წლის აპრილის ბოლოს. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ მიღებული დოკუმენტი არის საპარლამენტო მმართველობის სისტემის დახვეწისკენ მიმართული დოკუმენტი პროპორციული საარჩევნო სისტემით. ეს იყო კომისიის მიერ მომზადებული პროდუქტი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ოპოზიციამ გადაწყვიტა, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია დაეტოვებინა. კრიტიკის მთავარი საგანი ორი საკითხი იყო: საპარლამენტო არჩევნების სისტემა სამი მთავარი ასპექტით – 5%-იანი ბარიერის დაწესება პოლიტიკური პარტიებისთვის, რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობაში მიღებული პრაქტიკაა;

ერთ-ერთი საკამათო საკითხი იყო ბონუსი. დასაწყისშივე, ჩვენ ძალიან მკაფიოდ ვთქვით, რომ არ მივიღებდით არც ერთ ნორმას, რომელსაც ნეგატიურად შეაფასებდა ვენეციის კომისია. მკაფიოდ ითქვა, რომ თუ ვენეციის კომისია ბონუსის სისტემას უარყოფითად შეაფასებდა, საქართველოს პარლამენტი ამ ნორმას არ მიიღებდა. საბოლოო ჯამში, შეთავაზება იყო ცალსახა – პროპორციული სისტემა, ხუთპროცენტიანი ბარიერით პოლიტიკური პარტიებისთვის, რაც სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო პრაქტიკასთან, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ვახტანგ ხმალაძე: „ქვეყნის სტაბილურობისთვის აუცილებელია სამართლიანი საარჩევნო სისტემა“

მანანა იაშვილი

ინტერვიუ კონსტიტუციონალისტ ვახტანგ ხმალაძესთან

– პრეზიდენტმა მარგველაშვილმა ოპოზიციასთან ერთად მოლაპარაკებების ახალი ციკლი წამოიწყო საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. ოპოზიციის ნაწილი პრეზიდენტისაგან ვეტოს დადებასაც მოითხოვს. თვითონ მარგველაშვილი თავიდან არ ჩაერთო საკონსტიტუციო ცვლილებების სამუშაო ჯგუფში, შემდეგ ჩართვა მოისურვა. ამ პროცესს რამდენიმე თვეა უყურებს საქართველოს მოსახლეობა. რა ხდება რეალურად?

– თავისთავად, როდესაც ხდებოდა კანონპროექტის მომზადება, ყველა წინადადება შეიძლება დასმულიყო საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში. თავიდანვე იყო საუბარი პარლამენტის არჩევისა და პრეზიდენტის არჩევის წესზე – პირდაპირი თუ ირიბი გზით არჩეულიყო მომავალი პრეზიდენტი. კომისიაში უმეტესობა ემხრობოდა არაპირდაპირ არჩევნებს, ნაკლები – პირდაპირს. საბოლოო გადაწყვეტილება არა სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგია ან მათი აზრის ასახვა, არამედ „ქართული ოცნების“ არსებული პოზიციისა, მათ იმთავითვე ჰქონდათ გადაწყვეტილი, პრეზიდენტი აერჩია პარლამენტს. შემდეგ დაისვა საკითხი და ამ აზრის ინიციატორი მეც ვიყავი, რომ არჩევა მოხდეს პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობისგან არჩეული ხმოსნების დამატებით. ანუ არჩევა მოხდეს 300-კაციანი ჯგუფის მიერ.

– მერე ეს კარგია?

– ეს კარგია, რამდენადაც თვითმმართველობის არჩევნები ხდება პარლამენტის ორი მოწვევის არჩევნებს შორის. შესაბამისად, აი ამ პერიოდში იცვლება ხოლმე პარტიების მიმართ ამომრჩეველთა დამოკიდებულება. წესიერი არჩევნების, ნორმალური საარჩევნო სისტემის პირობებში, საკრებულოებში არჩევნების შედეგები განსხვავდება პარლამენტის არჩევნების შედეგებისაგან და პარლამენტსა და საკრებულოში პოლიტიკურ ძალთა წარმომადგენლობა სხვადასხვაგვარია. ამგვარად პრეზიდენტის ირიბი არჩევნები მხოლოდ ერთ პარტიაზე ვერ იქნება დამოკიდებული.

– არის „წესიერი“ არჩევნები?

– შესასწორებელი და გასამართია საკრებულოს არჩევნების სისტემა. 6 წლის შემდეგ იქნება პრეზიდენტის არჩევა, საპარლამენტო არჩევნები 2020 წელს არის, შესაბამისად საკრებულოსი იქნება 2021 წელს. ამ ხნის განმავლობაში, იმედი მაქვს, კანონი გასწორდება. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება სამართლიანი პრეზიდენტის ირიბი არჩევნები. თუ კანონი არ გასწორდა, მე მაშინ მხარს არ დავუჭერ პრეზიდენტის ირიბ არჩევას.

– რამდენად სამართლიანად ჩანს ახლანდელი პროცესი?

– პარლამენტის არჩევნების სისტემა თავიდანვე „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება იყო. მაგრამ რაც ორი მოსმენით არის მიღებული, რომ ახალ სისტემაზე გადასვლას მხოლოდ 2024 წელს აპირებენ, არ არის სამართლიანი. ესე იგი 2020 წელს ისევ ძველებურად აპირებენ არჩევნების ჩატარებას, ეს ძველი კი უსამართლო შედეგს იძლევა, ამას კი თვით „ოცნების“ დიდი ნაწილიც აღიარებს.

ისევ შერეული მაჟორიტარულ-პროპორციული სისტემა ნიშნავს, რომ ერთ პარტიას ექნება უპირატესობა. მნიშვნელობა არ აქვს, ეს ოცნება იქნება თუ სხვა. შესაბამისად პრეზიდენტის არჩევნების ირიბად არჩევის წესი მაღალი ალბათობით მოგვცემს ერთპარტიულ პრეზიდენტს.

– კიდევ რა არის თქვენთვის მიუღებელი?

– დიახ, არის სხვა საკითხებიც, თვითონ ოპოზიციის მოთხოვნებშიც. მაგალითად, ეროვნული უშიშროების საბჭო დაიშლება და შეიქმნება ეროვნული თავდაცვის საბჭო, რომელიც მხოლოდ საომარი მდგომარეობის დროს იმოქმედებს. აქაც არის სხვადასხვა მოსაზრება, საქმე ისაა, რომ საპარლამენტო რესპუბლიკებში ეროვნული უშიშროების საბჭო არ არსებობს, ამ საქმეს უძღვება მინისტრთა კაბინეტი, მთავრობა. ისე ტერმინი „უშიშროების საბჭო“ ცუდი თარგმანია საბჭოთა წარსულის გავლენით, უნდა იყოს უსაფრთხოების საბჭო, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს კრიზისულ ვითარებაში. აქ მხოლოდ ომი არ იგულისხმება, შეიძლება იყოს ეკონომიკური, ენერგეტიკული, ბუნებრივი კატაკლიზმების დროს კრიზისი, მაგრამ ეს ორგანო მუშაობს მხოლოდ საპრეზიდენტო მმართველობის პირობებში.

– ესე იგი არ არის საჭირო?

– უსაფრთხოების საბჭო შეიძლება არსებობდეს შერეული მოდელის ქვეყნებში, სადაც აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი და მთავრობა. მე ვერ ვხედავ ლოგიკას ოპოზიციის მოთხოვნაში, რომ უსაფრთხოების საბჭო უნდა დარჩეს სერიოზული ფუნქციებით და თან გადავიდეთ საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე.

– აბა რა იქნება კრიზისების დროს?

– შეიძლება აღმასრულებელ ხელისუფლებაში იყოს რაღაც ორგანო, რომელიც მუდმივ მონიტორინგს გასწევს მოსალოდნელი საფრთხეების შესახებ და დასკვნებს დაუდებს მთავრობას პრევენციისათვის, რათა კრიზისს მძიმე შედეგი არ მოყვეს.

– ჩვენთან დრო და დრო ხდება სხვადასხვა სახის კრიზისები. ეს გაუთავებელი პოლემიკაც ხომ კრიზისია?

– დღეს რა ვითარებაცაა შექმნილი, ერთი მხრივ, პრეზიდენტი და ოპოზიცია, მეორე მხრივ, მმართველი პარტია, მე მათ შორის შეთანხმების შესაძლებლობას ვერ ვხედავ.

– აბა რა აზრი აქვს ამ, საქვეყნოდ ხმამაღლა გაცხადებულ შეკრებებს, წინადადებებს, პუნქტობრივ მოთხოვნებს?

– ეს უფრო პათეტიკური პოლიტიკური დემონსტრაციაა, რომ „ქართული ოცნება“ აკეთებს ისეთ რამეს, რაც ყველასათვის მიუღებელია.

– რანაირად შეიძლება სიტუაციის დაწყნარება?

– თუ მათ შეთანხმების მიღწევა სურთ, რაღაც უნდა დათმონ, ოღონდ ისე, რომ არ დაირღვეს სამართლიანობის პრინციპი. ვერ ვიტყვი, რომ საერთოდ მაჟორიტარული სისტემა არადემოკრატიულია, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, აგერ 25 წელია, ეს სისტემა იძლევა ერთპარტიული უმრავლესობის შედეგს. მმართველ პარტიას ყოველთვის აქვს სერიოზული ბერკეტი იმისთვის, რომ მოიგოს მაჟორიტარული მანდატების ლომის წილი. ეს იწვევს ჩვეულებრივ უმრავლესობას პარლამენტში და ზოგჯერ საკონსტიტუციო უმრავლესობასაც.

აქედან მხოლოდ ერთი საშველია – საარჩევნო სისტემა იყოს სამართლიანი. ვერ ვიზიარებ ოცნების ლიდერების არაერთხელ გამოთქმულ პოზიციას, რომ ქვეყნის სტაბილურ განვითარებას სჭირდება პარლამენტში ერთპარტიული უმრავლესობის არსებობა, რომ კოალიციური უმრავლესობა არის ქვეყნის განვითარების დამაბრკოლებელი, მთავრობის სტაბილური მუშაობის ხელისშემშლელი.

– წინა პარლამენტში ხომ იყო „ქართული ოცნების“ ერთ ბლოკში გაერთიანებული მრავალი პარტია, გაამართლა?

– ზუსტად ერთპარტიული მმართველობის დროს ხდება, რომ ოპოზიციური პარტიები იძულებული არიან, არცთუ ლოგიკური, სხვადასხვა მიმართულების საარჩევნო ბლოკები შექმნან, რომროგორმე შეძლონ მმართველი პარტიის დამარცხება. ესეც შეუძლებელი ხდება მანამ, სანამ ქვეყანაში არ შეიქმნება ან რევოლუციური, ან რევოლუციასთან მიახლოებული სიტუაცია. ეს იყო 2003 წელს და შემდეგ 2012 წელს. საბოლოოდ ესეც არ იძლევა კარგ შედეგს, რადგან იდეოლოგიურად განსხვავებულ პოზიციაზე მდგომი პარტიების კოალიციების პარლამენტში მუშაობა ვერ არის ეფექტური.

– დიახ, თქვენ ეს გამოცდილი გაქვთ.

– ამიტომ ვლაპარაკობ სამართლიანობის პრინციპზე. ერთპარტიული უმრავლესობა ქვეყნის განვითარებისთვის შემაფერხებელია, პრობლემა ხდება ქვეყნის სტაბილური განვითარებისთვის. ძალიან დიდია ცდუნება, რომ სხვას არ მოუსმინო, რადგან საკუთარი ხმები ყოფნის ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების დროს და იქმნება სიტუაცია „მე ვარ და ჩემი ნაბადი“.

სწორედ ეს არის სახიფათო ქვეყნის სტაბილური განვითარებისათვის, რადგან, როგორც კი ასეთი ერთპარტიული უმრავლესობა დაკარგავს ხელისუფლებას და სხვა პარტია მოვა ასევე უმრავლესობით, იწყება თავისი წინამორბედის გაკეთებულის შეცვლა. ანუ, ამას შეიძლება ქვეყნის კურსის მკვეთრი შეცვლა მოჰყვეს. სწორედ ესაა საფრთხე და ხიფათი განვითარებისთვის.

– როგორ უნდა ავიცილოთ ეს საფრთხე?

– როდესაც პარლამენტში ერთპარტიული უმრავლესობა არ არის და მთავრობის შექმნისთვის ერთადერთი გამოსავალი და შესაძლებლობა კოალიციის შექმნაა, კოალიციის ყველა წევრი იძულებულია, სხვის აზრს გაუწიოს ანგარიში. ამიტომ, როგორც წესი, კოალიციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები რადიკალურად არ იცვლება შემდეგი მოწვევის პარლამენტში, რადგან იქაც კოალიციური უმრავლესობა იქმნება განახლებული შემადგენლობით, მაგრამ ძველი წევრების მონაწილეობით. ამით მემკვიდრეობითობის პრინციპი ტრადიციად ყალიბდება.

– რასაც ამბობთ, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ჩვენს რეალობაში სულ სხვა სურათს ვხედავთ. გაუთავებელი პოლემიკა სულ უფრო მეტ შეცდომას წარმოშობს ორივე მხრიდან. მხარეები არ თმობენ, სანამდე?

– ეს არის პოლიტიკური უმწიფრობის შედეგი. ჯერ კიდევ 2012 წელს ბლოკ „ქართულ ოცნებაში“ გაცხადებული იყო, რომ ჩვენ დავამკვიდრებდით კლასიკურ საპარლამენტო სისტემას. ინიცირებული იქნა საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტი, სადაც ასევე ლაპარაკი იყო, რომ საარჩევნო ბარიერი 4%-მდე დაიწევდა. მაშინ ოპოზიციამ, ნაციონალურმა მოძრაობამ, მხარი არ დაუჭირა ცვლილებებს იმ მოტივით, რომ საპარლამენტო სისტემაზე გადასვლა უნდა მომხდარიყო არა 2016 წელს, არამედ 2020 წლიდან.

მათ რომ მხარი დაეჭირათ მაშინ, 2020 წლისთვის უკვე გვექნებოდა სამართლიანი საარჩევნო სისტემა, რომელიც მოგვცემდა შესაძლებლობას, უკვე 2020 წელს გვქონოდა გამართული საპარლამენტო მმართველობა. მაშინ მე ვთქვი, რომ ახლა არის უნიკალური შესაძლებლობა, თორემ მომდევნო პარლამენტი ამ საკითხს გადაწევს 2024 წლისთვის, შემდეგი პარლამენტი 2030 წლისთვის და ასე გაგრძელდება, ისე აგიხდათ ყველაფერი.

– რა საჭირო იყო ახალი კონსტიტუციის შექმნა, უბრალოდ რომ გასწორებულიყო საკაშვილის დროს მიღებული ცვლილებები და ადრინდელი უზუსტობები?

– დიახ, ამას მოგახსენებდით, მე წავიდოდი მხოლოდ იმ ცვლილებებზე, რაც საშუალებას მოგვცემდა, დამკვიდრებულიყო კონტროლისა და გაწონასწორების სისტემა, პარლამენტის საამართლიანი საარჩევნო სისტემა. მაგრამ „ოცნებამ“ ამბიციური გეგმა დაისახა. არის რიგი საკითხები, რომლებიც შეიძლება სხვაგვარად გადაწყვეტილიყო, მაგრამ ბევრი რამ გაკეთდა სწორად.

– ოპოზიცია რატომ ვერ ხედავს ამ სისწორეს?

– პრინციპულად შეუთანხმებელია პარლამენტის არჩევნების სისტემა და პრეზიდენტის ირიბი არჩევის საკითხი. მხარეები პრინციპულად ვერ თანხმდებიან, რომ მესამე მოსმენიდან დაბრუნდნენ მეორეზე. ამის პერსპექტივასაც ვერ ვხედავ. შეიძლება შეთანხმება, რომ ახლა მიიღონ კანონი და შემდეგ დათქვან ცვლილებები, მაგრამ პრაქტიკულად ვერ გეტყვით ეს რამდენად შესაძლებელია.

ახლანდელ კანონპროექტში ოპოზიციას აქვს საკმაოდ კარგი ბერკეტები, მათ შორის საგამოძიებო კომისიების შექმნის თვალსაზრისით. კომისიის შექმნა არ იქნება დამოკიდებული მხოლოდ უმრავლესობაზე, არამედ საკითხის დასმა შეუძლია პარლამენტის დეპუტატთა 1/3-ს. წელიწადში ერთხელ მთავრობამ თავისი პროგრამის ანგარიში აუცილებლად უნდა წარუდგინოს პარლამენტს. ადრე ეს ნორმა ეხებოდა პრეზიდენტს, მაგრამ საკაშვილისთვის პარლამენტმა ეს მოთხოვნა გააუქმა. ასევე, ახალი რედაქციით პარლამენტს აქვს დამატებით უფლება, მთავრობას მოსთხოვოს ანგარიში კონკრეტული პროგრამის საკითხების მიმდინარეობის შესრულების შესახებ.

– მიწის საკითხიც ბუნდოვანია. თქვენ რას იტყოდით?

– ვნახოთ, როგორი რედაქცია იქნება. მიწის გაყიდვის აკრძალვა მიუღებელია, რადგან ეს პრობლემებს შეუქმნის ქვეყნის ეკონომიკას. სწორი იქნებოდა გაყიდვა პირობების დადებით. მიწა ქვეყნის სიმდიდრეა, აკრძალვა კი მიწას უკარგავს საბაზრო ღირებულებას.

– როგორ იცავენ თავს ევროპელები, რატომ არ არის იქ საფრთხე, უცხოელებმა ტოტალურად შეიძინონ მიწა?

– ამ შემთხვევაში თავდაცვა ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერეა, თუ ქვეყანა ფეხზე მყარად დგას, საფრთხე არ არსებობს.

– მაგრამ ჩვენ ხომ ჯერ ვერ ვდგავართ ფეხზე?

– დიახ, ქვეყანა არის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ამიტომ ვამბობ წინასწარ პირობას, მიწის ნებისმიერი მესაკუთრის როგორც უცხოელის, ასევე საქართველოს მოქალაქისაგან. მიწას ფასი და ხარისხი შეიძლება დააკარგვინოს უგნურმა მესაკუთრემ, რადგან მას სჭირდება ცოდნა, შრომა და მოვლა. უცხოელს მიწა მხოლოდ ოჯახის საარჩენად არ უნდა მიჰყიდო, მას უნდა ჰქონდეს ნათელი, რეალური, კონკრეტული საინვესტიციო პროექტი. რამდენად თავსებადია მისი პროექტი ჩვენი ქვეყნის ინტერესებთან, ეს არის მთავარი.

– მაშინ ამ საქმეს დასჭირდება მაკონტროლებელი, მცოდნე ადამიანები. ასეთები გვყავს?

– თუ არ გვყავს, უნდა ასწავლო! წინააღმდეგ შემთხვევაში წამოვწვეთ ჭილოფზე და იმ ანეკდოტის არ იყოს, მამა შვილს ეუბნება, წადი, ყანა გათოხნეო, „არა, მამი, სამშობლოს მიწას თოხი როგორ დავარტყაო“. წინა პარლამენტშიც იყო კანონპროექტები ამ საკითხზე, მაგრამ მაშინაც შეთანხმება ვერ მოხერხდა. არსებობდა კანონპროექტის რამდენიმე ვერსია, მაგრამ არც ერთი მათგანი არ იყო ინიცირებული. შემდეგ ახალი პარლამენტი აირჩიეს.

კომპანია RMG-ს დეპუტატი კახა კუჭავა ლობირებს

საყდრისის კომიტეტმა წარმოადგინა სქემა, რომელიც, მათი განცხადებით, ძალიან ბევრ კითხვას აჩენს. კომიტეტი ვარაუდობს, რომ კომპანია `RMG~-ს უკან გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე კახა კუჭავა დგას და ის ლობირებს კომპანიას. საყდრისის კომიტეტის წევრების თქმით, „არემჯი ჯგუფის“ მეპატრონეს დიმიტრი ტროიაკიმ და ინგლისურმა კომპანიამ დააარსეს ერთობლივი კომპანია „ჯორჯია ვოტერ ენდ გოლდ“-ი, რომლის გენერალური დირექტორი იყო კახა კუჭავა. როცა იგი დეპუტატი გახდა, მისი პოზიცია დაიკავა რევაზ ბერიძემ, რომელიც კახა კუჭავას ბიზნესპარტნიორია და მათ საერთო მფლობელობაში კიდევ ბევრი კომპანია აქვთ.

საყდრისის კომიტეტი გარემოს დაცვის სამინისტროსგან „RMG“-ს მიერ გარემოსთვის მიყენებული ზარალის ოდენობის განსაზღვრას ითხოვს. მათი მტკიცებით, ზარალი რამდენიმე ასეულ მილიონს აჭარბებს და განსაზღვრა შეგნებულად ჭიანურდება. რადგან ახლო მომავალში მიღებული იქნება ახალი კანონმდებლობა, რომელიც მორგებული იქნება კომპანია „არემჯი“-ზე და მათ გარემოზე მიყენებული ზარალის კოლოსალური რაოდენობა შესაძლოა მთლიანად ჩამოეწეროთ.

საყდრისის კომიტეტის თქმით, 2015 წელს ბოლნისის რაიონში 5 წყლის და 15 მიწის სინჯი იქნა აღებული და, კვლევის შედეგების თანახმად, ვითარება საგანგაშოა. კომიტეტმა წარმოადგინა ამ კვლევის შედეგები და ცხრილები, რომლის მიხედვით ქიმიური ელემენტები დასაშვებ ზღვარს რამდენჯერმე აღემატება.

კომიტეტის წევრები ითხოვენ, კომპანია RMG-მ დააფინანსოს ბოლნისის რაიონში მოსახლეობის ეპიდემიური კვლევა და, ასევე, ნიადაგისა და ერთწლოვანი კულტურების კვლევა. და ამ კვლევაში კომიტეტის წევრებიც ჩაერთონ.

კომერსანტი

იოლი ბიზნესი – უხარისხო სახლები და დაზარალებული მყიდველები

ბოლო პერიოდში დედაქალაქში მასობრივად შენდება და იყიდება პატარა კერძო, ე.წ. „სტანდარტული“ სახლები.

ეს სახლები საკმაო პოპულარობით დაბალი ფასის გამო სარგებლობენ. თუმცა, ხშირად მყიდველებს ხელში პატარა, კოპწია სახლის ნაცვლად, ნანგრევები რჩებათ.

სახლების ფართობი 60 კვადრატული მეტრია. „სტანდარტული“ კი იმიტომ ჰქვიათ, რომ მერია ნებართვას ამ ფართის სახლების ასაშენებლად მარტივად გასცემს. შედეგად ამ ბიზნესში არაერთი მცირე სამშენებლო კომპანია თუ ჯგუფი ჩაერთო – ყიდულობენ ნაკვეთს, მასზე თავადვე აშენებენ სახლს ან სახლებს და შემდგომ ყიდიან. მათი ხარისხი და კვალიფიკაცია კი ხშირად გაურკვეველია.

ეს საქმიანობა განსაკუთრებით პოპულარული თბილისის გარეუბნებშია. ბოლო 5 წლიწადში დაუსახლებელი ფართობები ერთბაშად გაშენდა. თუმცა, რამდენად ხარისხიანად აშენდა სახლები, ამას არავინ ამოწმებს. მყიდველების უმეტესობაც არ ცდილობს ხარისხის საფუძვლიანად შემოწმებას და მხოლოდ გამყიდველების ნდობის იმედად არიან.

– 2013 წელს სოფელ გლდანში კერძო სახლი ვიყიდე. მე და ჩემს ოჯახს დიდი თანხა არ გვქონდა, ამიტომ დაბალ ფასებში ვეძებდით სახლს. კორპუსს ვერ გავწვდით და კერძო სახლზე შევაჩერეთ არჩევანი. თანაც, ვიფიქრეთ, ბავშვებს ეზო ექნებოდათ. მალევე შევარჩიეთ ერთი პატარა, კოხტა სახლი. 60 კვადრატული იყო, სტანდარტული პროექტი. პატარა ეზოც ჰქონდა, სახლიც დასრულებული და გარემონტებული იყო, ახალი აშენებული. 22 ათას დოლარად ვიყიდეთ. გამოუცდელი ვიყავი და ნამდვილად არ მიფიქრია, რომ მშენებლობის ხარისხი შემემოწმებინა.

ყიდვიდან რამდენიმე თვეში, სახლმა ფაქტიურად დაშლა დაიწყო. კედლებიდან – საღებავი და ჭერიდან გაჯი ცვიოდა, წვიმა ჩამოვიდა. წელიწადნახევარში კი კედლებს ბზარებიც გაუჩნდა. კედლები რითი იყო ამოყვანილი, ბოლომდე ვერც გავარკვიეთ. აქა-იქ, კანტიკუნტად ჰქონდა ჩაყოლებული არმატურა. ყველაზე დაბალხარისხიანი და იაფიანი მასალა იყო გამოყენებული. საძირკველი ფაქტიურად არ ჰქონდა. მოკლედ, ნებისმიერ დროს შეიძლებოდა თავზე ჩამოგვნგრეოდა. მიწისძვრაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, ვერანაირად ვერ გაუძლებდა.

ვფიქრობდი, რომ სახლი გამემაგრებინა, მაგრამ ესეც შეუძლებელი აღმოჩნდა. მშენებლებმა მითხრეს – საძირკველი არ აქვს და როგორ უნდა გაამაგროო? იძულებული გავხდი, სახლი ნაკვეთის ფასად გამეყიდა, – ამბობს ლევანი, რომელიც დაზარალებულთაგან ერთ-ერთია.

იმისათვის, რომ ლევანის მსგავსი პრობლემის წინაშე არავინ აღმოჩნდეს, სპეციალისტები ამბობენ, რომ მყიდველებს მეტი სიფრთხილის გამოჩენა მართებთ. მათი თქმით, საქართველოში „სიტყვაზე ნდობა“ ისეთი სერიოზული საკითხების დროსაც კი აპრობირებულია, როგორიც სახლის ყიდვაა. ისინი მოსახლეობას მოუწოდებენ, ბინის და, მით უმეტეს, კერძო სახლის ყიდვის დროს გარკვეული რჩევები გაითვალისწინონ. პირველ რიგში, მყიდველმა მშენებელს ლიცენზია უნდა მოსთხოვოს.

მშენებელ-ინჟინერი, ექსპერტი ვაჟა ნავროზაშვილი ამბობს, რომ თითოეულ ჯგუფს, რომელიც მშენებლობითაა დაკავებული, ლიცენზია უნდა გააჩნდეს.

– როგორც არალიცენზირებულ აფთიაქში არ ვყიდულობთ წამალს, ისე არ უნდა ვიყიდოთ არალიცენზირებული მშენებლის მიერ აშენებული სახლი, – აცხადებს ვაჟა ნავროზაშვილი.

მისივე თქმით, ლიცენზიის მოპოვება მარტივია და თუკი მშენებელს ლიცენზია არ აქვს, მაშინ მყიდველი მის კომპეტენციაში აუცილებლად უნდა დაეჭვდეს. ლიცენზიის აღებისთვის არ არის სავალდებულო, მშენებლებს კომპანია ჰქონდეთ დაარსებული. ლიცენზიის მოპოვება ჩვეულებრივ ჯგუფსაც შეუძლია.

კომპეტენტურ სპეციალისტთა ჯგუფს ლიცენზიების გამცემი ორგანოც კი შეუძლია გახდეს შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ.

– ლიცენზიის გაცემისას ყურადღებას იმას აქცევენ, თუ რა აქვს ამ ადამიანს აშენებული მანამდე, რამდენად მკვრივი და მკვიდრია მისი შენობები, ვინ არის მისი საინჟინრო პერსონალი, რამდენად იცავს შიდა აქტებს. ანუ, როდესაც ადამიანი შენობას აშენებს, საძირკველს რომ გაუკეთებს, ფოტო უნდა გადაუღოს, არმატურას რომ ჩადებს, იმასაც სურათი უნდა გადაუღოს, ბადეს რომ გააკეთებს, სანამ ბეტონს დაასხამს, იმასაც და ა.შ. ყოველი საფეხური ფოტოზე უნდა აღბეჭდოს, რათა ჰქონდეს მტკიცებულება, თუ რა და როგორ გააკეთა.

– პირველ რიგში, ჩვენ ინტერესებში არ შედის, რომ ლიცენზია დაუმსახურებლად გავცეთ. არაპროფესიონალზე რომ გავცეთ, შესაძლოა, ვინმემ გვიჩივლოს და ჩვენი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს, – აღნიშნავს ერთ-ერთი სალიცენზიო ორგანოს წარმომადგენელი.

თუ მაინცდამაინც არალიცენზირებული კომპანიის მიერ აშენებული სახლი მოგვეწონა, სპეციალისტები გვირჩევენ, სახლი ლიცენზირებულ მშენებელთა ჯგუფს შევამოწმებინოთ.

– აუცილებელია მშენებელს ჰქონდეს ეს სამი დოკუმენტი: კონსტრუქციული ნახაზი, რომლის გარეშეც მშენებლობა ვერ დაიწყება. დოკუმენტს სერტიფიცირებული კონსტრუქტორი გასცემს. შეიძლება ითქვას, რომ ეს შენობის „პასპორტია“. იქ წერია ყველაფერი – რა ხარისხის მასალით უნდა აშენდეს, რამდენი არმატურა უნდა დაიხარჯოს, რამდენი ბეტონი და ა.შ; გეოლოგიური დასკვნა, რომელიც ასევე ოფიციალურად უნდა იყოს გაცემული რომელიმე გეოლოგიური ინსტიტუტის მიერ; და მესამე დოკუმენტი – არქიტექტურული ნაწილი. თუ მშენებელს ეს სამი დოკუმენტი არ გააჩნია, მის აშენებულ სახლს არავინ უნდა მიეკაროს, – დასძენს ვაჟა ნავროზაშვილი.

ექსპერტი ასევე საუბრობს იმ მეთოდებზე, რომლითაც შენობის ხარისხი სპეციალისტების გარეშე შეგვიძლია შევამოწმოთ:

– კედელს პატარა ნაწილი უნდა ჩამოატეხოთ და ნახოთ, რამდენად ადვილად იფშვნება, წნევის ქვეშ მოათავსო და კუმშვასა და ძაბვაზე შეამოწმო. ყველაზე მარტივი კი ბურღით გასინჯვაა – რამდენიმე ადგილას უნდა გაბურღოთ. უცებ თუ შევა ბურღი, ე.ი. უხარისხოდაა აშენებული, – დასძენს სპეციალისტი.

ბპნ

რატომ ვერ გამყარდა ლარი ტურისტების მიერ დახარჯული 1.86 მილიარდი დოლარით

ბოლო პერიოდის განმავლობაში ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში უფასურდება.

ეკონომისტები ეროვნული ვალუტის გაუფასურების ფუნდამენტურ და მაკროეკონომიკურ ფაქტორებს ვერ ხედავენ და ძირითად აქცენტს სეზონურობაზე აკეთებენ.

ტურისტული სეზონი ქვეყანაში ვალუტის შემოდინებასთან ასოცირდება და ამ პერიოდში, როგორც წესი, კურსს დაღმავალი ტრენდი არ აქვს, თუმცა ტურისტული სეზონის მილევასთან ერთად, ეროვნულმა ვალუტამ დოლართან მიმართებაში გაუფასურება დაიწყო.

საპარლამენტო სხდომაზე, სადაც ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი კაკაურიძე სიტყვით გამოდიოდა, უმცირესობის მხრიდან დასმული მთავარი კითხვა იყო, თუ რატომ არ გაამყარა ლარი ტურისტების დახარჯულმა 1.86 მილიარდმა?

გიორგი კაკაურიძის თქმით, გაუფასურებული ნომინალური გაცვლითი კურსი ნელელა ჩამოვა, რადგან მაკროეკონომიკური პარამეტრებით გაუფასურების საფუძველი არ იყო და ადგილობრივი ვალუტა ზედმეტად არის დაცემული. როგორც კაკაურიძემ განმარტა, კურსის ვარდნაზე ასევე გავლენა მოახდინა მოლოდინებმა, რომელიც მოსახლეობას ტურისტების რაოდენობის კლებასთან დაკავშირებით აქვს.

– დღეის მდგომარეობით, რა მონაცემებიც გვაქვს, კურსის მერყეობას ნამდვილად არ ველოდებით. რაც შეეხება მიზეზებს, უკვე მომხდარ რყევებზე, სამწუხაროდ, გარკვეული ტენდენცია ჩამოყალიბდა და ყველას აქვს მოლოდინი, რომ ტურისტული სეზონის დასრულების შემდგომ კურსი უნდა გაუფასურდეს. კურსზე ზეწოლა გარკვეულწილად ამანაც იქონია, რადგან ტურისტული სეზონის დასრულების შემდგომ, სავარაუდოდ, მოსახლეობა შეეცადა, რომ მათ მიერ დაზოგილი თანხები გადაეყვანა დოლარში. თუ ჩვენ შევადარებთ კურსის მაჩვენებლებს სხვა ფულად ერთეულებთან, ვნახავთ, რომ მთელი წლის განმავლობაში სტაბილურად ერთ დონეზე ვიყავით და აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში 5%-იანი გაუფასურება გვაქვს, რაც მიანიშნებს, რომ ეს არის ამოვარდნილი სურათი და თუ იგივე მაკროეკონომიკური ჩვენება გაგრძელდა, ჩვენ ველოდებით, რომ კურსი უნდა იყოს სტაბილური და, რა თქმა უნდა, ზემოთ არ უნდა წავიდეს, – განაცხადა კაკაურიძემ.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი მთავრობას ეკონომიკურ პოლიტიკას უწუნებს და ლარის გაუფასურებას ბანკებზე მთავრობის მხრიდან ფულის გასესხებით ხსნის. რომან გოცირიძეს მიაჩნია, რომ მთავრობა ახალ მავნებლობაში ჩაერთო და „ეკონომიკის სტიმულირებისათვის“ ბიუჯეტიდან ბანკებისათვის ფულის სესხების მანია გაუჩნდა.

– მთავრობა ახალ მავნებლობაში ჩაერთო. ბიუჯეტიდან ბანკებისათვის ფულის სესხების მანია გაუჩნდა „ეკონომიკის სტიმულირებისათვის“. ლარის გაუფასურების ფონზე იმედი გვქონდა, რომ შეწყვეტდა ამ უმსგავსობას. ნურას უკაცრავად, 50 მილიონი ლარი გაასესხა. გაცემულმა სესხებმა უკვე 635 მილიონ ლარს მიაღწია. მხოლოდ ბოლო ორ თვეში 450 მილიონი ლარი გასცა. მთავრობამ ლარი შარშანდელ გზას გაუყენა, – აცხადებს გოცირიძე.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის, გიორგი კაკაურიძის განცხადებით, მთავრობის სამთვიან სესხებს, რომელსაც ის კომერციულ ბანკებზე გასცემს, ლარის კურსზე უარყოფითი გავლენა არ მოუხდენია.

– ფულის მართვის მსგავსი პრაქტიკა მომავალშიც იქნება გათვალისწინებული, მიმდინარე წლის განმავლობაში ეს სესხები შეიძლება უფრო მოკლევადიანი იყოს, თუმცა მომდევნო წლის რესურსების ფარგლებში, შეიძლება უფრო გრძელვადიანი იყოს, – აღნიშნა კაკაურიძემ.

მთავრობაში ლარის კურსის პროგნოზირებისგან თავს იკავებენ. პირველი ვიცე-პრემიერი, ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი აცხადებს, რომ პროგნოზირება ძალიან უმადური საქმეა, თუმცა დასძენს, რომ საგადასახდელო ბალანსი გაუმჯობესებულია 700 მილიონ დოლარამდე.

– რაც შემიძლია ვთქვა, არის ის, რომ საგადასახდელო ბალანსი გაუმჯობესებულია 700 მილიონ დოლარამდე, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ქვეყანაში ფულადი ჩარიცხვები გაზრდილია. ექსპორტიდან ამონაგები არის შემოსული მეტი და ასევე, ტურიზმიდან ამონაგები. ჯამურად ეს არის 700 მილიონი დოლარი და, შესაბამისად, მე ვერაფერს ვპროგნოზირებ. ჩვენ გვაქვს მცურავი კურსი, რომელიც დამოკიდებულია მოთხოვნა-მიწოდებაზე. ხანდახან შეიძლება გვქონდეს ცოტა მეტი მოთხოვნა, ცოტა მეტი მიწოდება, თუმცა ეს არის ბაზრის ქცევა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ განკარგვადი შემოსავალი, რომელიც ჩვენს მოქალაქეებს აქვთ, არ შემცირდეს, რისთვისაც არის დაწყებული ლარიზაციის პროგრამა და ლარიზაციის პროგრამაში თვითონ მოსახლეობის სესხები კომერციულ ბანკებში ლარით არის გაზრდილი 43%-დან 53%-მდე, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი. ამავდროულად, მნიშვნელოვანი იქნება ინფლაციური მოლოდინები, რომელიც ჩვენ აგვისტოში საკმაოდ კარგი ტრენდი გვქონდა, 5,7%-მდე დავედით, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში, ტურისტული სეზონის გახურების პარალელურად, სებმა ინტერვენციების სახით, სავალუტო ბაზრიდან 110 მილიონი დოლარი ამოიღო, რაც ლარის კურსის სტაბილური ნიშნულის დაჭერით ახსნა. გაუფასურების პირობებში ეროვნულ ბანკს ინტერვენცია არ განუხორციელებია, რათა თავიდან აეცილებინა მცირე შოკი კურსის გაუფასურების სახით.

ეკონომისტების აზრით, წინასაარჩევნო პერიოდის მოლოდინებიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს კურსზე და ახლა მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან არ მოხდეს გადამეტებული ხარჯვა. ასევე შენარჩუნებული იყოს ის ეკონომიკური მაჩვენებლები, რომელიც ამ დროისთვის პროგნოზირებადზე მაღალია.

ბპნ

5 ბინა თბილისში – რა ქონებას ფლობს დეპუტატი, რომლის ქონებაც 2 მილიონ ლარად არის შეფასებული

პარლამენტის დეპუტატი ნინო წილოსანი, ერთ-ერთია იმ რამდენიმე დეპუტატს შორის, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ცნობით, უძრავი ქონება არასრულად აქვს დეკლარირებული.

აღსანიშნავია, რომ გაზეთ „ბანკები და ფინანსების“ ინფორმაციით, წილოსანი მილიონერ დეპუტატთა რიგებშია და მისი ქონება 2 მილიონ ლარად არის შეფასებული.

„ბიზნესპრესნიუსი“ დაინტერესდა თუ რა ქონებას ფლობს პარლამენტის წევრი ნინო წილოსანი. მიმდინარე წლის 6 იანვარს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის თანახმად, დეპუტატი ფლობს 124,70 კვადრატული მეტრის; 224,70 კვ. მეტრის; 131,60 კვ. მეტრის; 72,40 კვ. მეტრი ფართობისა და 59 კვ. მეტრის, ჯამში 5 ბინას თბილისში; 94,55 კვ. მეტრის ბინას მცხეთაში; 60 კვ. მეტრი ფართობის ბინას წყნეთში; 60,91 კვ. მეტრის არასაცხოვრებელ ფართს დედაქალაქში, რომლის 33%-ია მის საკუთრებაში; 82,90 კვ. მეტრის არასაცხოვრებელ ფართს თბილისში, რომლის 27,63%-იანი წილი ეკუთვნის; დედაქალაქში მდებარე 15,07 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთს; 440 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთს დაბა ურეკში; 1 175 კვ. მეტრის მიწის ნაკვეთს საგურამოში. მასვე ეკუთვნის მსუბუქი ავტომობილი BMW X 5.

რაც შეეხება დეპუტატის ფინანსურ მდგომარეობას, დეკლარაციის შევსების მომენტში „თიბი-სი“ ბანკის მიმდინარე ანგარიშზე 1 418,69 ლარი; „საქართველოს ბანკის“ მიმდინარეზე – 3 347,90 ლარი, ხოლო ნაღდი ფულადი თანხის სახით, 17 000 ლარი ჰქონდა.

ამასთან, დეკლარაციის მიხედვით, დეპუტატი 13 კომპანიის პარტნიორია. ეს კომპანიებია: შპს „მკურნალი 2002“; შპს „ქონსელერ პრივატი“; შპს „აიპროფიტი“; შპს „ტრიდე ჯგუფი“; შპს „ჯი თრეველი“; შპს „ენ-დუო-კონცეპტ“; შპს „აითრეველი“; შპს „ლეგიონი“; შპს „ბინ თრეიდინგ“; შპს „რეტრო 77“; შპს „აგროპროდუქტი“; შ.ღ. ილმიტრანს (ჩეხეთი) და U.S TRADING (აშშ). ამათგან, დეპუტატმა გასულ წელს მხოლოდ 3 კომპანიის საქმიანობის შედეგად მიიღო შემოსავალი.

კერძოდ, შპს „მკურნალი 2002-ის“ საქმიანობით მიღებულმა შემოსავალმა – 36 ათასი ლარი; შპს „ქონსელერ პრივატის“ საქმიანობით – 5 789 ლარი; ხოლო შპს „აიპროფიტის“ საქმიანობით მიღებულმა შემოსავალმა – 100 848 ლარი შეადგინა.

წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში პარლამენტის წევრის პოსტზე ნინო წილოსანმა 3 699 ლარის შემოსავალი მიიღო;

ვაგონმშენებელი კომპანიის ფინანსური სამსახურის უფროსის პოსტზე – 22.297,72 ლარი; „მკურნალი 2002-ის“ ფინანსური კონსულტანტის თანამდებობაზე – 33.000 ლარი; ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოსტზე კი – 8.900 ლარი აქვს მიღებული.

როგორც დეკლარაციაშია აღნიშნული, ფართის იჯარით გაცემის შედეგად დეპუტატის შემოსავალმა 1.500 დოლარი შეადგინა; ფართის იჯარის აღებაზე შემოსავლის სახით გასულ წელს 34.703 ლარი; ფართის იჯარით გაცემაზე – 3.110 ლარის ოდენობის შემოსავალი აქვს მიღებული; ხოლო იპოთეკური სესხის შედეგად მისმა გასავალმა 18.662 დოლარი შეადგინა.

დეკლარაციის თანახმად, გასულ წელს პარლამენტის წევრის გასავალმა ქველმოქმედებაზე – 14.326 ლარი; ხოლო საკუთარი სწავლის გადასახადზე – 22.000 ლარი და 10.000 დოლარი შეადგინა.

ნინო წილოსანს ჰყავს მეუღლე და 3 შვილი. დეკლარაციის მიხედვით, მეუღლე ვლადიმერ აბულაძე ფლობს 1.242 აქციას; არის 4 კომპანიის – შპს „ვაგონტესტის“; შპს „შულავერის“, რომლის დირექტორის პოსტსაც იკავებს; შპს „ბილდინკოს“; U.S TRADING-ისა და შ.ღ.O Almitrans-ის პარტნიორი; ასევე შპს „ვაგონმშენებელი კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი; შპს „ნათ ექსპორტის“ დირექტორი და სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატის“ ფინანსური დირექტორი. ვაგონმშენებელი კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრის პოსტზე მისმა შემოსავალმა 6.112.50 ლარი შეადგინა.

ბპნ

ნისიმ ელბახარი: „ჩემი გადაგდება ისრაელის ყოფილმა ელჩმა და მისმა სიძემ გადაწყვიტეს“

ებრაელი ბიზნესმენი ნისიმ ელბახარი მიმართავს საქართველოს მთავრობას, რომ ის, როგორს ინვესტორი, მოატყუეს და „გადააგდეს“. საწარმო, სადაც მას 25% წილი აქვს მუშაობს, მაგრამ, როგორც ბიზნესმენი, აცხადებს, მას არაფერი მიუღია.

ნისიმ ელბახარი აცხადებს, რომ მისი „გადაგდება“ ისრაელის ყოფილმა ელჩმა და მისმა სიძემ მოახერხეს.

– მე წარმოვადგენ კომპანიის 25-პროცენტიანი წილის მფლობელს. ჩვენი პირველი დაკავშირება მოხდა მრავალი წლის წინ, როდესაც ბიზნესმენ დავიდ უტენთან ერთად გავემგზავრე საქართველოში, თბილისში. ამავე მოგზაურობისას მიგვიღო საქართველოში ისრაელის ელჩმა ბ-ნ შაბთაი ცურმა და როგორც აღმოჩნდა, დავიდ უტენი მისი სიძეა. პატივცემულმა ბატონებმა გაგვაცნეს კიდევ ორი სხვა ბატონი (ბ-ნ მელორი და ბ-ნ კახა).

მომდევნო დღეებში ჩამოყალიბდა კომპანია სამშენებლო ბლოკების საწარმოებლად, თბილისთან ახლოს მდებარე ქალაქ ქსანში.

შეხვედრის შემდეგ თავდაპირველი პარტნიორებმა წილები ასე გაინაწილეს: 5% ნისიმ ელბახარ, 25% ოფირ კუბანი, 6% დავიდ უტენი, 22% მელორ ტყეშელაშვილი, 22% კახა. დღეს: 25% ნისიმ ელბახარ, 25% ოფირ კუბანი, 6% დავიდ უტენი, 15% მელორ ტყეშელაშვილი, 15% კანდიდ კვიციანი, 14% გურამ კილაბერიძე და დირექტორი მიხეილ ბულუდიანი – ს.ნ. 454410815)

ისრაელის მხარემ (ნისიმ ელბახარ და ოფირ კუბანი) აიღო ვალდებულება მოემარაგებინა საწარმო დანადგარებით (აღჭურვილობა, ტექნოლოგიები, ცოდნა). ეს პირობები განისაზღვრა კონტრაქტითაც. საწარმო დანადგარების შეძენა მოხდა იტალიაში 300.000 დოლარად, ჩამოვიდნენ სპეციალისტები, რომლებმაც შეისწავლეს ადგილი, უზრუნველყვეს დანადგარების მონტაჟი და ასევე ჩაატარეს ტრენინგი, როგორ უნდა მომხდარიყო მათი გამოყენება და ბლოკის საწარმოებლად ქარხნის ამუშავება.

ქართულმა მხარემ კონტრაქტით აიღო ვალდებულება, რომ გადაეცა წარმოებისათვის მიწა (რომელზეც 20 წლის მანძილზე განთავსდებოდა ქარხანა) და საწარმოში დაესხა ბეტონის იატაკი (რომელზეც იმოძრავებდა დანადგარი).

ბეტონის სამუშაოები შესრულდა, მაგრამ მიწა, რომელზედაც უნდა დაფუძნებულიყო საწარმო 20 წლით, დღემდე არ გადასულა პარტნიორების მფლობელობაში, როგორც წესით საჭირო იყო კომპანიისათვის.

ამის შემდეგ დაიწყო წარმოების ეტაპი – ბლოკი იწარმოებოდა



18.09.2017

לכבוד
סבינת שר החוץ בגרת ציפי חוטובלי,
שר החוץ של באוראנו מר מיכאל בֶּאלֶזיזה
הלשכה להגנת העסקים במשפטים באוראנו

מאת ניסים אלבחר
ת.ז. 027307149
אינעם 4 ראשל"צ
נייד: 052-7010000

הנושא: חב' גרבינה ישראל בינוס האוס LTD

אבקש עורתכם בנושא הנ"ל, להלן פרטי הסקירה:

אנחנו הבעלים של 25% מנפיות החברה הנ"ל. תחילת התקשורות היתה לפני מספר שנים. נפגשתי עם איש העסקים דוד אוטן לטבלתי שבאוראנו. בביקור הזה קיבל אותנו השגריר הישראלי מר שבתאי צור שהתברר כי מר דוד אוטן הוא חתנו.

האדונים הכירו לנו 2 חברה מקומיים מר מלר ומר ומר ككה.

לאחר יומים נקשה עימם עיסקה להקמת מפעל לייצור בלוקים בעיר סמוכה לטבלתי. העיר קסאנ'.

לאחר המציאה הפנית חלקן באוטן הבא.

25% ניסים אלבחר, 25% אופיר קובני, 6% דוד אוטן (חתן של השגריר), 22% מלר טקשאלשוילי, 22% כנה

(כינס: 25% ניסים אלבחר, 25% אופיר קובני, 6% דוד אוטן, 15% מלר טקשאלשוילי, 15% קאנדיד קוציאני, 14% בראנס קילבריאה, מנהל פיסאל בחדאי – חברה (454410815

מתחה הבקסקה

הצד הישראלי (ניסים אלבחר ואופיר קובני) התחייב לספק את הציוד (מפעל לייצור בלוקים ומכונות לבנים)

אבן הציוד מסוק כפי שהוכנה בהסכם.

מפעל לייצור בלוקים נרכש באיטליה בעלות של $300000, כמו כן הביא לשטח כבנים מאיטליה, הרכיבו את המפעל ובינתיים את הידע והכשרה עד אשר המפעל החל לייצר בלוקים.

הצד הבאוראני התחייב לספק קרקע שעליה יעמוד המפעל למשך 20 שנה ולתקן רצפת בטון.

עבודות רצפת הבטון בוצעו אך הקרקע לא עברה בבעלות החברה כפי שהדבר הובטח.

לאחר הקמת המפעל החל שלב יצור הבלוקים לייצור מקומי לקבלנים ומסקים לפי ההזמנות.

יש לציין שבתחילת העבודות, לחברת שלא סוכם מראש, נדרשו השקעות נוספות לרכישת 2 מלגזות ולתובור המפעל נדרש להוסיף עוד מכונת יצור בלוקים בסך $50000.

შეკვეთების მიღებისთანავე, ადგილობრივი მშენებლებისა და დისტრიბუტორებისათვის.

მსურს აღვნიშნო, რომ წარმოების საწყის ეტაპზე მოგვთხოვეს დამატებით 50.000 დოლარი ინვესტიცია, დამატებითი დანადგარების შესაძენად (რაც პირველადი კონტრაქტით არ ყოფილა განსაზღვრული) და ჩვენმა მხარემ ეს თანხა ჩადო (ნისიმ ელბახარ და ოფირ კუბანი).

მას შემდეგ გავიდა დაახლოებით 5 წელი, საწარმო მუშაობს ქართული მხარის ხელმძღვანელობით და უშვებს ბლოკებს, თუმცა ჩვენ დღემდე არ მიგვიღია ერთი შეკვეთიც კი კუთვნილი წილებიდან.

დაახლოებით ერთი თვის წინ შევიარე საწარმოს ტერიტორიაზეც და დავრწმუნდი, რომ წარმოება შეჩერებული არ არის და სრული დატვირთვითაც მუშაობს.

ვწუხვარ, რომ დღემდე არ მიმიღია თანხა ჩემი კუთვნილი წილისა (25%) და ჩვენ მიერ ხელმოწერილი კონტრაქტის შესაბამისად.

საწარმოს ტერიტორიაზე შემდგარი შეხვედრის შედეგად ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ბ-ნ მელორმა საწარმო მიყიდა მესამე პირს, ჩემი თანხმობისა და ნებართვის გარეშე. დღეს საწარმო, ასევე ჩემი გვერდის ავლით, იპოთეკით არის დატვირთული.

ამიტომ, მოგმართავთ დახმარების თხოვნით თქვენ, ისრაელის და საქართველოს მთავრობების წარმომადგენლებს, რადგან დარწმუნებული ვარ, ეს არ არის უბრალოდ ბიზნეს დავა. როგორც ჩანს, ესაა მიზანმიმართულად ჩადენილი თაღლითური ქმედება, რომელშიც შუამავლად გამოვიდნენ ისრაელის ელჩი ბ-ნი შაბთაი ცური და მისი სიძე დავიდ უტენი. გავარკვიე, რომ ბატონ ელჩს და მის სიძეს ამ ადამიანებთან მეგობრობა აკავშირებს. მათ, სავარაუდოდ, ისიც იცოდნენ, რომ ჩემს მომავალ ქართველ პარტნიორებს პრობლემები ჰქონდათ საკუთარ ბიზნესში, ვინაიდან მათ, განსაკუთრებით ელჩ ცურს, ხელი მიუწვდებოდა ამ ინფორმაციაზე.

ჩემი ქართველი პარტნიორების ბიზნესპრობლემებზე ქართულ ენაზე უამრავი ინფორმაცია მოიპოვება ინტერნეტში. მე მომატყუეს და ფაქტობრივად დავკარგე თანხა.

წერილში ჩემ მიერ მოყვანილი ცნობების დასადასტურებლად გამაჩნია დოკუმენტები და კონტრაქტები, ასევე საწარმოში ჩემი ბოლო სტუმრობიდან ფოტოები და ვიდეომასალა, რომელიც ადასტურებს, რომ საწარმო მოქმედია.

მე არ მრჩება სხვა გზა, გარდა იმისა, რომ მივმართო ისრაელის და ქართულ მედიას, რომ საჯარო გახადონ თაღლითობის ეს სქემა, რომელიც დიდი ალბათობით, დავიდ უტენმა მოიფიქრა ჩემი „გადაგდების“ მიზნით და ამაში, როგორც ჩანს, მისი სიმამრი, ელჩი ბ-ნი შაბთაი ცური დაეხმარა.

მინდა გავაშუქო ეს შემთხვევა, რათა ისრაელის სხვა კომპანიები გავაფრთხილო. გამდიდრდნენ ჩემს ზურგზე და მე თავს ვგრძნობ მოტყუებულად.

სასაკლაოების ნაწილი, შესაძლოა, დაიხუროს

საქართველოში საქონლის ხორცის დეფიციტის გამო ცხოველთა სასაკლაოების ნაწილი იხურება. სასაკლაოების ხელმძღვანელების ნაწილი „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ბიზნესის ეს მიმართულება ყოველწლიურად უფრო და უფრო წამგებიანი ხდება. მიზეზად რამდენიმე ფაქტორი სახელდება, მათ შორის, ბოლო პერიოდში საქონლის ხორცის დეფიციტი.

კერძოდ, როგორც აღმოჩნდა, ქართულ ხორცზე აზერბაიჯანელების მხრიდან მოთხოვნა გაზრდილია, გარკვეული გავლენა ლარის დევალვაციამაც მოახდინა, რის გამოც პროდუქტის ფასმა წლის დასაწყისიდან დღემდე ჯამში 2-3 ლარით მოიმატა.

რეგიონში მდებარე სასაკლაოების ხელმძღვანელები იმასაც ამბობენ, რომ ადგილობრივ სოფლებში ხალხს საქონელი აღარ დარჩა, რადგან აზერბაიჯანში პირუტყვი მასობრივად გაჰყავთ.

საგარეჯოს რაიონში მდებარე შპს „მატადორის“ ხელმძღვანელი იოსებ კოხტაშვილი განმარტავს, რომ გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სასაკლაოს ბრუნვა დაახლოებით 30-40 პროცენტითაა შემცირებული. მისი მტკიცებით, გასულ წელს კომპანიაში თუ თვეში 100 სული მსხვილფეხა საქონელი იკვლებოდა, ახლა ეს რიცხვი 30-მდე არის შემცირებული.

კოხტაშვილის ინფორმაციით, მეორე პრობლემა საქონლის სასაკლაოების გვერდის ავლით დაკვლაა.

– ახლა ტენდენციაა ისეთი, რომ ფერმერები საქონელს, სავარაუდოდ, სასაკლაოს გვერდის ავლით კლავენ. გარდა ამისა, პრობლემაა ელექტროენერგიაზე გაზრდილი ტარიფიც, – აცხადებს კოხტაშვილი. მისი განმარტებით, თუ ასე გაგრძელდა, არსებული სასაკლაოებიც დაიხურება. კოხტაშვილის განცხადებით, არსებულ პირობებში არსებობა და ბიზნესის განვითარება შეუძლებელია.

თელავში მდებარე სასაკლაო, შპს „ქართული ხორცის პროდუქტების“ ხელმძღვანელი, სანდრო მეგუთნიშვილი განმარტავს, რომ ბაზარზე საქონლის ხორცის დეფიციტია, ამის მიზეზი კი ცოცხალი საქონლის ექსპორტზე გაყვანაა. მისი ინფორმაციით, ფერმერებს საქონელი მეზობელ ქვეყნებში, მათ შორის აზერბაიჯანში გაჰყავთ. მომატებულია საქონლის ფასიც.

– ყასბები რომ დადიან, ჩადიან დედოფლისწყარომდე, უვლიან სოფლებს, თუმცა, იმ რაოდენობის საქონელს ვეღარ შოულობენ, რაც, მაგალითად, წინა წელს. ბოლო პერიოდში ცოცხალი საქონლის მოძიება ცოტა გაჭირდა, – აცხადებს მეგუთნიშვილი.

მისი განცხადებით, თვეში მის სასაკლაოში დაახლოებით 1200 სული საქონელი იკვლება. როგორც მეგუთნიშვილი აცხადებს, სასაკლაოდან ხორცით „კარფური“, „აგროჰაბი“ მარაგდება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წელს 2015 წელთან შედარებით, ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაოების რაოდენობა არ გაზრდილა. უფრო მეტიც, თუ 2016 წელს ქვეყანაში 86 ერთეული სასაკლაო ფუნქციონირებდა, 2015 წელს ეს ციფრი 87-ს შეადგენდა. საქსტატის ინფორმაციით, 2016 წელს საქართველოში 86 ერთეული ცხოველთა და ფრინველთა სასაკლაო ფუნქციონირებდა, მათგან 17,4% მდებარეობს ქვემო ქართლში, 16,3% – იმერეთში, 16,3% – კახეთში, 15,1% – შიდა ქართლში, 10,5% – სამეგრელო-ზემო სვანეთში, 7,0% თბილისში, 7,0% მცხეთა– მთიანეთში, ხოლო დანარჩენი 10,5% – სხვა რეგიონებშია განთავსებული:

კვლევის შედეგების მიხედვით, ქვეყანაში 2016 წელს მოქმედ სასაკლაოებში დღის განმავლობაში მაქსიმუმ 34457 ერთეული პირუტყვისა და ფრინველის დაკვლა იყო შესაძლებელი (ნაკლავის შესაძლო მაქსიმალური დღიური მოცულობა).

2016 წლის განმავლობაში, სასაკლაოებში დაკლულია 311,3 ათასი სული პირუტყვი, მათ შორის 59,7% მსხვილფეხა, ხოლო 40,3% – წვრილფეხა (ცხვარი, თხა, ღორი და სხვა). გარდა ამისა, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სასაკლაოებში დაკლული ფრინველის რაოდენობა 9.620,6 ათასი ერთეულით განისაზღვრა.

სასაკლაოების მიერ, 2016 წლის განმავლობაში 36487,6 ტონა ხორცი იქნა წარმოებული (იგულისხმება დაკლული წონა, ფრინველის ხორცის ჩათვლით), საიდანაც 44,9% მოდის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, 37,1% – ფრინველის, 16,9% – ღორის, 1,1% – ცხვრისა და თხის ხორცზე, ხოლო სხვაზე პროცენტული მაჩვენებელი უმნიშვნელოა და შეადგინა სულ რაღაც 0,02%.

კომერსანტი

თემურ ჭიჭინაძე: „2012 წლიდან დენის ტარიფი კატასტროფულად არის გაზრდილი“

სემეკის მონაცემებით, საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება ყოველწლიურად საშუალოდ 3.5 პროცენტით იზრდება. ელექტროენერგიის დეფიციტური წარმოების პირობებში, დენის იმპორტი გასულ წელთან შედარებით საქართველოში თითქმის გაორმაგდა. სპეციალისტების შეფასებით, სიტუაციას ართულებს ის ფაქტიც, რომ ადგილობრივ ბაზარზე დღეს ორი მონოპოლისტი კომპანია „თელასი“ და „ენერგო პრო ჯორჯია“ ოპერირებს, შესაბამისად სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ დენის გაძვირების პერსპექტივაც ყოველთვის დიდი იქნება.

ენერგეტიკოს თემურ ჭიჭინაძის თქმით, რისკები, ტარიფებთან დაკავშირებით, ნამდვილად შესამჩნევია. მისივე თქმით, 2012 წლიდან კატასტროფულად არის გაზრდილი ელექტროენერგიის ტარიფი, რისი აუცილებლობაც არ იყო.

– რისკები, ტარიფებთან დაკავშირებით, ნამდვილად შესამჩნევია. 2012 წლიდან კატასტროფულად არის გაზრდილი ელექტროენერგიის ტარიფი, მიუხედავად იმისა, რომ ამის აუცილებლობა არ იყო. ორი მონოპოლისტური კომპანია, რომელიც საქართველოს ბაზარზე ოპერირებს, მათ ხელშია გენერაცია, განაწილება და ასე შემდეგ. აქედან გამომდინარე, ისინი ადგენენ ტარიფს.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმაზე, რომ ის ტარიფები, რომელიც თავიდან ჰქონდა მინიჭებული „ენერგო პროს“, იყო არასწორი. დღეს მარეგულირებელი კომისია, რომელიც ასე თუ ისე მაინც სამინისტროს გავლენის ქვეშ იმყოფება, საბაზისოდ იღებს იმ არაკანონიერ ტარიფს, რომელიც თავიდან ჰქონდა დადგენილი, – აცხადებს ჭიჭინაძე, გადაცემაში „ბიზნესკოდი“ ყოფნისას.

მიზეზი იმისა, რომ რეკორდულად გაიზარდა ელექტროენერგიის იმპორტი, თემურ ჭიჭინაძის აზრით, ენგურზე მიმდინარე სამუშაოები და აფხაზეთთან არსებული ვალდებულებაა. ასევე, მისივე თქმით, „ნენსკრაჰესი“ ყველა ნორმიდან ამოვარდნილი პროექტია.

– იმპორტი შეიძლება დავუკავშიროთ იმ სარემონტო სამუშაოებს რომელიც ენგურში ტარდება და ასევე იმ ვალდებულებებს, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს აფხაზეთთან. ვალდებულების მიხედვით, ენგურის გამომუშავების 50-60 პროცენტი უნდა წაიღონ მათ. ავიღოთ „ნენსკრას“ მაგალითი, ჩემი აზრით, ეს არის ყველა ნორმიდან ამოვარდნილი პროექტი, რომლის ღირებულებაც მილიარდ 200 ათასი დოლარია. როდესაც ასეთი მაღალია ღირებულება, ტარიფი შესაბამისად იქნება ძალიან მაღალი, – აცხადებს ჭიჭინაძე.

კომერსანტი

იმერეთში აზიური ფაროსანას წინააღმდეგ 7.000 ჰექტარზე მეტი ფართობია დამუშავებული

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების ფარგლებში, იმერეთის რეგიონში 7.000 ჰექტარზე მეტი ფართობი დამუშავდა. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, იმერეთის რეგიონში მავნებლის გავრცელება სამტრედიისა და ხონის მუნიციპალიტეტებში აღინიშნა, რის მიხედვითაც დაიგეგმა და ჩატარდა ქიმიური წამლობა. მავნებლის გავრცელების კერები-საკარმიდამო ნაკვეთები და საყანე ფართობები, სამანქანე დანადგარების გამოყენებით, თერმული ნისლის ტექნოლოგიით შეიწამლა.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ ღონისძიებების ფარგლებში დასავლეთ საქართველოში დაახლოებით 100 ათასი ჰექტარი ფართობია უკვე დამუშავებული. მავნებლის საწინააღმდეგო ღონისძიებებში 13 სექტემბრიდან ჩართულია ავიაცია. ამ დროისთვის, ავიაციის მეშვეობით, სამეგრელოსა და გურიის რეგიონებში 1.500 ჰექტარი დიდი მასივებია დამუშავებული. ამასთან რეგიონებში მობილიზებულია და მუშაობს სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალური ტექნიკა.

მავნებელთან ბრძოლის მიზნით შექმნილია საკოორდინაციო დროებითი შტაბი.აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები უცხოელი ექსპერტების ჩართულობით მომზადებული სტრატეგიის შესაბამისად ხორციელდება. სტრატეგიის სამოქმედო გეგმის თანახმად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტო ქიმიურ წამლობას საკარმიდამო ნაკვეთებსა და დასახლებული პუნქტების მიმდებარედ არსებულ ნარგავებში ივნისიდან ატარებს. მას შემდეგ, რაც მავნებლის გავრცელება ისეთ დიდ მასივებში აღინიშნა, სადაც შესაძლებელია საავიაციო წამლობის ჩატარება, ღონისძიებებში ავიაციაც ჩაერთო.

ირმა ჭკადუა: „ყველაზე მნიშვნელოვანი ახლა ოთარ აბესაძის სიცოცხლის და ჯანმრთელობის შენარჩუნებაა“

– ახლა რაც უნდა გავაკეთოთ, არის ის, რომ შევინარჩუნოთ მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ვუმკურნალოთ. პროცესები არსად გაგვექცევა, – ამის შესახებ ქრთამის აღების ბრალდებით დაკავებული მერიის ყოფილი თანამშრომლის, ოთარ აბესაძის ადვოკატმა, ირმა ჭკადუამ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, დაცვის მხარემ პროცესი იმის გამო გადადო, რომ ელოდება ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დასკვნას.

– ჩვენ მიგვაჩნია, რომ ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ყველაზე დიდი ღირებულებაა. ყველაზე მნიშვნელოვანი, ახლა რაც უნდა გავაკეთოთ, უნდა შევინარჩუნოთ მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ვუმკურნალოთ. როდესაც ის კარგად იქნება, მზად იქნება ამისთვის, გაგრძელდება პროცესები. უახლოეს დღეებში გვექნება დასკვნა და მივმართავთ სასამართლოს. შესაძლოა, დანიშნულ პროცესამდეც მივმართოთ, – განაცხადა ირმა ჭკადუამ.

გლდანში და-ძმის ცხედარი იპოვეს

გლდანში, ერთ-ერთ საცხოვრებელ სახლში, და-ძმის ცხედარი იპოვეს.

მომხდარს შინაგან საქმეთა სამინისტროშიც ადასტურებენ, მათივე განმარტებით, გარდაცვლილებს ძალადობის კვალი არ აღენიშნებათ.

ბათუმში 3 ქვეითს მსუბუქი ავტომობილი დაეჯახა

ბათუმში მსუბუქი ავტომობილი სამ ქვეითს დაეჯახა. სამივე მათგანი საავადმყოფოში არის გადაყვანილი.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

სოხუმში რუსი ტურისტი დაიღუპა

სოხუმში, კოგონიას ქუჩაზე, 80 წლის ქალი საცხოვრებელი კორპუსის მე-5 სართულიდან გადმოვარდა და მიღებული დაზიანებების შედეგად დაიღუპა. ინფორმაციას ამის შესახებ „აფხაზინფორმი“ ავრცელებს.

მეზობლების თქმით, შემთხვევა დილით მოხდა, ხანდაზმული ქალი აივანზე გაფენილი სარეცხის ასაღებად გავიდა, რა დროსაც წონასწორობა დაკარგა და გადმოვარდა. გავრცელებული ინფორმაციით, დაღუპული ანა შახანოვაა და ის სოხუმში დასასვენებლად რუსეთიდან იყო ჩასული.

გოგა ხაინდრავა სასამართლოში ვანო მერაბიშვილისა და ბადრი ბიწაძის დაკითხვას ითხოვს

გოგა ხაინდრავა სასამართლოში ვანო მერაბიშვილისა და ბადრი ბიწაძის დაკითხვას ითხოვს. ხაინდრავას თქმით, ვინაიდან ეკა გიგაურთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი შსს-ში განადგურებულია, 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევისა და მისთვის ვადაზე ადრე კაპიტნის წოდების მინიჭების საქმეზე აუცილებლად უნდა დაიკითხოს სასაზღვრო პოლიციის მაშინდელი ხელმძღვანელი ბადრი ბიწაძე და ასევე იმჟამინდელი შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი.

ხაინდრავას განცხადებით, მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა ის ფაქტი, რომ ყველა დოკუმენტაცია განადგურებულია.

– საქმე არის ნათელი. მოძალადე ძალადობის მსხვერპლს უჩივის. ეს მათი სტილია. სხვანაირად მათ არ შეუძლიათ. ძალიან კარგია, რომ ეს პროცესი შედგა. ძალიან კარგია, რომ საზოგადოება ამაში ჩაერთო. მე ვფიქრობ, ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა გიგაურმა, რომ აქამდე მიიყვანა საქმე. ეს პროცესი დაამთავრებს მათ, როგორც ადამიანის უფლებების დამცველებს. მოძალადე ადამიანები, რომლებმაც მიიღეს წახალისება, მას შემდეგ, რაც საქართველოში 7 ნოემბერი მოხდა, მე ვფიქრობ, აქ კითხვები აღარ უნდა დაისვას. მოუნდათ სასამართლო? მიიღებენ სასამართლოს! ოღონდ ამ სასამართლოს კი არა, საზოგადოების სასამართლოს მიიღებენ. ისეთ სასამართლოს და განაჩენს მიიღებენ, რომ ტელევიზიებში გამოჩენა შერცხვეთ. მე ვაყენებ საკითხს, რომ ვანო მერაბიშვილი და გენერალი ბიწაძე მოიყვანონ სასამართლოში და მათ გასცენ იმ კითხვებს პასუხი, რაც საზოგადოებას აქვს. მე გაძლევთ პირობას, რომ მაგათაც მოვიყვან სასამართლოში და გიგაურსაც მოვიყვან, – განაცხადა გოგა ხაინდრავამ.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გოგა ხაინდრავასა და გურამ ადამაშვილის წინააღმდეგ სარჩელის განხილვა დაიწყო. საქმე ეხება „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორის, ეკა გიგაურის მიმართ გაკეთებულ განცხადებას, რომლის მიხედვითაც, ხაინდრავამ და ადამაშვილმა გიგაური 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევის მონაწილეების წახალისებაში დაადანაშაულა. გიგაური სარჩელით განცხადებების უარყოფასა და სიმბოლურად ორივე ბრალმდებლისგან 30-30 თეთრს ითხოვს. მოსარჩელის შუამდგომლობების მოსმენის შემდეგ, რომელიც გარკვეული უწყებებიდან მასალების გამოთხოვას ეხებოდა, პროცესი ოქტომბრამდე გადაიდო.

მაკა ჩიჩუას ძმას პროკურატურა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე უარს ეუბნება

პირველი ლედის მაკა ჩიჩუას ძმას, მიხეილ მგალობლიშვილს პროკურატურა საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე ამ დრომდე უარს ეუბნება, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მგალობლიშვილის ადვოკატმა გიორგი ბეგიაშვილმა განუცხადა.

მიხეილ მგალობლიშვილი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით 4 წლიან სასჯელს იხდის. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, დაცვის მხარეს სააპელაციო სასამართლოში აქვს გასაჩივრებული.

– მთავარი ის არის ამ საქმეში, რომ მამამისის დატოვებული იარაღებია, რომლებიც დროზე ვერ გაიფორმა. ეს იარაღები ფაქტობრივად არის სამუზეუმო ექსპონატები. თვითონ ბრალდების მხარეც არ ამბობს იმას, რომ ეს იარაღები მიხეილ მგალობლიშვილმა შეიძინა ან გამოსაყენებლად უნდოდა, მაგრამ ვერ ხსნის, რატომ ითხოვს თვითონ არასაპატიმრო სასჯელს. მიხეილ მგალობლიშვილი უბრალო მოქალაქე რომ იყოს, 99%-ით გეუბნებით, რომ ეს ადამიანი გარეთ იქნებოდა. ჯერ კიდევ იმედი გვაქვს, ეს ხელისუფლება არ მოიქცევა ისე, როგორც მოიქცეოდა წინა ხელისუფლება, მიუდგება ამ ადამიანს, როგორც აპოლიტიკურ პიროვნებას და გამოუშვებს გარეთ, – განაცხადა ბეგიაშვილმა.

რაც შეეხება შეწყალების თხოვნას, ადვოკატის ინფორმაციით, ვიდრე სასამართლოს ყველა ინსტანცია არ არის ამოწურული, მიხეილ მგალობლიშვილის შეწყალება ნაადრევია და შესაბამისად, პირველი ლედის ძმას, პრეზიდენტისთვის შეწყალების თხოვნით არ მიუმართავს.

„ბავშვთა სამყაროში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულმა ერთ-ერთმა მოვაჭრემ კახა კალაძის საარჩევნო შტაბთან შიმშილობა დაიწყო

„ბავშვთა სამყაროში“ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზარალებულმა ერთ-ერთმა მოვაჭრემ კახა კალაძის საარჩევნო შტაბთან შიმშილობა დაიწყო.

როგორც ხანძრის შედეგად დაზარალებულმა ჯული ელიავამ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის საარჩევნო შტაბთან შიმშილობას იქამდე არ შეწყვეტს, ვიდრე მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.

გარდა ამისა, აქციის მონაწილეები ხანძრის შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურებას ითხოვენ.

დაზარალებულები გამოძიების ობიექტურად ჩატარებას ითხოვენ.

– სხვა გზა არ მაქვს, დირექციის მფარველები მაღალჩინოსნები არიან. ყოველდღე აქ ვიქნებით, ვიდრე ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. არ ავდგები აქედან და ვისაც აქვს სურვილი, შემომიერთდეს, – განაცხადა ჯული ელიავამ.

„ჯერ დანით დაჭრეს, მერე კი ესროლეს“ — თემქაზე მომხდარი შემთხვევის დეტალები

გუშინ თემქაზე მამაკაცი დაჭრეს. ახალგაზრდა მამაკაცი კლინიკაში თვითმხილველებმა გადაიყვანეს. ახალგაზრდას ოპერაცია მეხუთე კლინიკურ საავადმყოფოში ჩაუტარდა.

როგორც „ნიუპოსტს“ ადგილობრივებმა უთხრეს, დაჭრას წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა. თვითმხილველთა თქმით, ახალგაზრდა მამაკაცი ჯერ დანით დაჭრეს შემდეგ კი მისი მისამართით ცეცხლი გახსნეს.

ადგილობრივების ინფორმაციით, დაახლოებით სამი გასროლის ხმა გაიგეს. არსებული ინფორმაციით, მამაკაცს თავს 2 პირი დაესხა.

– გაჩერებაზე იდგა, როცა ესროლეს. ჯერ დაუჭრიათ, – აცხადებს თვითმხილველი.

შსს-ს ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცი დანითაა დაჭრილი. მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 117-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

ავარია საგარეჯოში — გარდაცვლილია 50 წლამდე ქალი

საგარეჯოში მსუბუქი ავტომობილი ბორდიურს შეეჯახა, რის შედეგადაც 50 წლამდე ქალი ადგილზე გარდაიცვალა. სამმა მგზავრმა კი სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღო.

შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

ელიავასთან მამაკაცი მტკვარში გადავარდა

ელიავას მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ხიდიდან მამაკაცი მტკვარში გადავარდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მაშველების სწრაფი რეაგირების შედეგად, მამაკაცი წყლიდან დროულად ამოიყვანეს და საავადმყოფოშია გადაყვანილი.

მათივე ცნობით, მამაკაცს სხეულზე მცირე დაზიანებები აღენიშნება.

ტრამპი: „გაეროს რეფორმირება აუცილებელია!“

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე გამოვიდა. მან განაცხადა, რომ გაეროს რეფორმირება აუცილებელია.

– გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ბიუროკრატიამ მოიცვა. მისი შტატი უსაშველოდაა გაბერილი, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ დღეს გაეროს ქმედითუნარიანობა დაბალია. შედეგად ორგანიზაცია უძლურია რიგი საერთაშორისო კონფლიქტის მოგვარებისას. ტრამპმა, უწინარეს ყოვლისა, მოიხსენია სირია, სადაც უკვე მერამდენე წელია კონფლიქტი მიმდინარეობს. გაეროს ცხვირწინ აღმოცენდა არა მხოლოდ ასადის რეჟიმი, არამედ ისლამური სახელმწიფო. ველურობა და სისასტიკე, რასაც ეს ორგანიზაცია ქადაგებს, განსაცვიფრებელია.

– ისმის კითხვა: სად იყო გაერო, როცა ეს საშინელი სტრუქტურა გაჩნდა? – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტი დონბასში მიმდინარე მოვლენებსაც შეეხო. მან განაცხადა, რომ გაერომ ვერც ომის დაწყებას შეუშალა ხელი და არც მშვიდობის აღდგენის ქმედითი გეგმა გააჩნია. ტრამპმა თქვა, რომ დონბასში მშვიდობის აღდგენა აუცილებელია და გაერომაც ამაში ქმედითი როლი უნდა ითამაშოს.

– როცა მშვიდობის აღდგენაზე ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს მშვიდობის აღდგენა და არა კონფლიქტის გაყინვა, – ამბობს ამერიკის პრეზიდენტი.

გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონი გუტერეშმა საპასუხო სიტყვაში განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტის პოზიციას მთლიანად ეთანხმება.

– გაეროს რეფორმირება მართლაც აუცილებელია, – ამბობს გუტერეში.

ტრამპმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ აპირებს, ლათინური ამერიკის ქვეყნების ლიდერებს შეხვდეს. საუბრის ძირითადი თემა ვენესუელაში შექმნილი მდგომარეობა იქნება.

– ვწუხვარ, რომ ვენესუელის პრეზიდენტი მადურო გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე არ ჩამოვიდა, – თქვა ტრამპმა.



სომხეთი და აზერბაიჯანი მთიანი ყარაბაღის საკითხს განიხილავენ

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნალბანდიანმა განაცხადა, რომ მთიანი ყარაბაღის პრობლემის მოგვარება აუცილებელია. ნალბანდიანმა შექმნილი მდგომარეობა შეაფასა, როგორც უაღრესად საშიში.

– თუ ასე გაგრძელდა, ომი გარდუვალი იქნება, – თქვა ნალბანდიანმა.

სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თქვა, რომ მისი ქვეყანა მზადაა, აზერბაიჯანს მთიანი ყარაბაღის ნაწილი დაუბრუნოს. საუბარია ტერიტორიებზე, რომლებიც მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკას საფრთხეს არ უქმნიან.

– თუკი აზერბაიჯანმა საომარი მოქმედებები მაინც გააჩაღა, სომხეთი მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობას აღიარებს, – ამბობს ნალბანდიანი.

რუსული თვითმფრინავი ლიტვის საჰაერო სივრცეში შეიჭრა

გრძელდება სამხედრო სწავლებები „დასავლეთი 2017“. ამ დროს რუსული სამხედრო თვითმფრინავი ლიტვის საჰაერო სივრცეში შეიჭრა.

ლიტვის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამის გამო რუსეთს საპროტესტო ნოტა გადასცა.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ზახაროვამ ლიტველთა პრეტენზიას აბსურდული უწოდა.

– საჰაერო სივრცის არავითარი დარღვევა არ ყოფილა, – თქვა მან.

რუსმა სენატორმა კლინცევიჩმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ ლიტველთა პრეტენზიები უსაფუძვლოა. ასევე უსაფუძვლოა რუსეთ-ბელორუსის ერთობლივი სწავლების გარშემო ევროპაში აზვირთებული აჟიოტაჟი. კლინცევიჩი ამბობს, რომ სამხედრო სწავლებაში სულ 12.000 მეომარი მონაწილეობს და უბრალოდ შეუძლებელია, ვინმეს საფრთხე შეუქმნან.

ერაყის სასამართლომ ქურთისტანის რეფერენდუმი გააუქმა

ერაყის სასამართლომ ქურთისტანის დამოუკიდებლობის რეფერენდუმი გააუქმა. დადგენილებაში ნათქვამია, რომ რეფერენდუმი შეჩერებულია მანამ, სანამ ერაყის უმაღლესი სასამართლო დაადგენს, თუ რამდენად შეესაბამება ის ქვეყნის კონსტიტუციას.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა თავის მხრივ ქურთებს მოუწოდა, დამოუკიდებლობის გამოცხადებისგან თავი შეიკავონ.

– ქურთისტანის დამოუკიდებლობა მთელი რეგიონის დესტაბილიზაციას გამოიწვევს, – აცხადებს ტილერსონი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჟენეველმა სანტექნიკოსებმა კანალიზაციაში ათეულ ათასობით ევრო იპოვეს

შვეიცარიელი პროკურორები ცდილობენ გაარკვიონ, თუ რატომ ჩარეცხა უცნობმა პიროვნებამ ათეულ ათასობით ევრო ფინანსური ჰოლდინგის UBS Group AG-ს ჟენევის განყოფილებაში.

თავდაპირველად 500 ევროს ნომინალის ბანკნოტები რამდენიმე თვის წინ ბანკის საცავის მახლობლად ტუალეტში აღმოაჩინეს. რამდენიმე დღის შემდეგ კუპიურებით აივსო გვერდით მდებარე სამი რესტორნის ტუალეტები. აღსანიშნავია, რომ სანტექნიკოსების მომსახურება მილების გასაწმენდად დაწესებულებებს ათასობით ფრანკი დაუჯდა.

პოლიციამ ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ კუპიურები დაჭრილი იყო, სავარაუდოდ, მაკრატლით.

– მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიაში ფულის განადგურება დანაშაულად არ ითვლება, ჩვენ გამოძიება მაინც დავიწყეთ, ვინაიდან ამ ისტორიაში რაღაც იმალება, – განაცხადა ჟენევის პროკურატურის წარმომადგენელმა ჰენრი დელა კასამ.

მომხდარის კომენტირებისგან თავი შეიკავეს ჰოლდინგის წარმომადგენლებმა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგბია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

ვასწავლი

● მოვამზადებ ინგლისურსა და რუსულ ენებში დიპლომატიური განათლებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, შეღავათიან ფასებში. მის.: ვაკის რაიონი, ფალიაშვილის ქ. №118. ტელ.: 593-90-73-13, თამარი.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) – მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული რჩევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა ჩვენს ხელთაა – კალცი აუცილებელია გონებრივი განვითარებისათვის, ძვლიან-კუნთოვანი ჩონჩხისთვის, იმუნიტეტისათვის. 95%-ით აითვისება ორგანიზმის მიერ. ტელ: 599-61-75-82.

● გინდა იყო მუდამ ჯანმრთელი? მთელი ორგანიზმის დიაგნოსტიკა – პრობლემების გამოვლინება ადრეულ სტადიაზე. აქცია თვის ბოლომდე, კუპონის წარმომადგენელს ფასდაკლება 30%. ტელ: 595-472-471.

● ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია ოზონატორი არის მთელი ოჯახის ჯანმრთელობის საწყისი: ხილისა და ბოსტნეულის დეზინფექცია; წყლისა და საბავშვო ჭურჭლის, სათამაშოების გაწმენდა. ტელ: 599-61-75-82.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

რაგბი: ცხრილის სათავეში სამხელისუფლებიანობაა

აია-ღელო 19:10

ტურის ცენტრალურ მატჩში ქუთაისის აიამ თბილისის ღელო-სარასენსი დაამარცხა და სატურნირო ცხრილის ლიდერთა შორისაა.

ამ მატჩამდე გუნდებს 2-2 მოგება ჰქონდათ და პრინციპულ დაპირისპირებაში გამარჯვებული წარმატებულ სერიას აგრძელებდა. აიამ დაცვაში კარგად ითამაშა და შეტევაში საკუთარი შესაძლებლობები გამოიყენა. ღელომ კი შეცდომები დაუშვა, შესაბამისად, გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ.

თამაში სტუმრების დომინირებით დაიწყო. საწყის 20 წუთში ისინი ღელოს გატანასთანაც იყვნენ ახლოს, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ირაკლი ყიასაშვილის ჯარიმას და 3 ქულას დასჯერდნენ. საერთოდ, ყიასაშვილს დარტყმები არ წაუვიდა და ტაიმის ბოლომდე ორი შორეული ჯარიმა გაუცუდდა.

20 წუთის შემდეგ აიამ ბურთზე კონტროლი დაამყარა და მალევე გიორგი ბაბუნაშვილმა ჯარიმით წონასწორობა აღადგინა. 28-ე წუთზე თბილისელებმა ფეხით გადაკიდებული ბურთი ვერ აიღეს, 3 ქუთაისელი ერთ მცველზე დარჩა და შეტევა ღელოში გიორგი აბრამიძემ დაასრულა, ხოლო ბაბუნაშვილმა გარდასახა – 10:3.

მეორე ტაიმში ღელომ შეცდომებს მოუხშირა და ბაბუნაშვილმა მონაგარს კიდევ 6 ქულა შემატა (2 ჯარიმა). ღელოელებმა შანსი 72-ე წუთზე დაიბრუნეს, მოლით შეუტიეს და იქიდან გამოვარდნილი ბურთი თენგო პერანიძემ დაამიწა, მერაბ კვირიკაშვილმა გარდასახა და ჩამორჩენა 6 ქულამდე შეამცირა.

დარჩენილ დროში აიამ მეტოქის ნახევარზე გაატარა. უკანასკნელ წუთზე ბაბუნაშვილმა არეკნი გაიტანა, საკუთარ გუნდს 19:10 მოაგებინა, ხოლო ღელოს ნუგეშის ბონუსიც არ შეარჩინა.

სიმია-ბათუმი 0:32

მიმდინარე სეზონში ეს იყო პირველი თამაში, რომელშიც ერთმა გუნდმა მეორე მშრალზე დატოვა. ზღვისპირელები ზედიზედ მეორე თამაშია ღელოს არ უშვებენ და გამარჯვებას ბონუს-ქულით ამყარებენ.

ანგარიში ბახვა კობახიძემ ჯარიმით გახსნა. დიმიტრი კალანდაძეს მალევე შეეძლო პასუხის გაცემა, თუმცა ხელსაყრელი პოზიციიდან ჯარიმა ვერ გაიტანა. ტაიმის შუაში არმიამ მოედნის ცენტრში საკუთარი დერეფანი წააგო და სწრაფი კონტრშეტევა მიიღო, ჯონდი კორტავამ ბურთი გიორგი თხილაიშვილს გადააწოდა და მან ის სისწრაფეში ზურაბ თუთბერიძეს გაატანა, რომელსაც ვეღარავინ დაეწია. კობახიძემ გარდასახვა გაიტანა, 29-ე წუთზე ჯარიმიდანაც ზუსტი იყო და ტაიმი 13:0 დასრულდა.

მეორე ტაიმი ბათუმის ულამაზესი ღელოთი დაიწყო, რომლის შემოქმედი ლაშა ხმალაძე გახდა. მან საკუთარ 22-ში მიიღო ბურთი, ცრუმოძრაობებით თითქმის მთელი დაცვა გაიარა და მარჯვენა ფრთაზე ალექსი ტუჩაშვილს გააყოლა, რომელმაც 25 მეტრი ირბინა და ცენტრისკენ ბურთი ბექა ურჯუკაშვილს გადააწოდა და ბოჭვის მიუხედავად, ღელოში შევიდა. ღელო კობახიძემ გარდასახა.

ბათუმმა 61-ე წუთზე უპირატესობა გაზარდა: მეტოქის 22-ში ჯერ ხმალაძემ გადაკიდა და ბურთს თავადვე დაეუფლა, მერე ფეხით კობახიძემ ითამაშა და ის მარჯვენა ალამთან ტუჩაშვილმა დაამიწა. კობახიძე გარდასახვიდან ზუსტი იყო.

შეხვედრის მიწურულს კიდევ ერთი ლამაზი ღელო გავიდა: ზღვისპირელებმა ხელდახელ მაღალ ტემპში შეუტიეს, 22-იდან კობახიძემ ბურთი ფეხით მარცხნივ ჩაკიდა, მას კორტავა დაეუფლა და ღელომდე ვეღარავინ დაეწია – 32:0.

სიმაზი-ხარები 15:19

რუსთავში ჯიქისა და ლოკომოტივის ძლევის შემდეგ, ხარები მიმდინარე სეზონში სტუმრად პირველად თამაშობდა, თუმცა ამას წარმატებული სერიის გაგრძელებაში ხელი არ შეუშლია. მარნეულის არმაზი მეტოქეს პირველი გამარჯვების მოპოვების იმედად დაუხვდა, მაგრამ შეცდომები მრავლად დაუშვა და ამით ხარებმა კარგად ისარგებლა.

შეხვედრაში ანგარიში არმაზს უნდა გაეხსნა, მაგრამ ხელსაყრელი პოზიციიდან რეზი ჯინჭველაშვილს ჯარიმა გაუცუდდა. პასუხად ხარებმა ჯარიმები კარში არ ურტყა, მეტოქის ღელოს მიუახლოვდა და 5-მეტრა დერეფნიდან აგორებული მოლი გიგი ქვლივიძემ დაასრულა. უჩა მჭედლიშვილმა ზუსტ გარდასახვას 10 წუთში ჯარიმა შემატა და სტუმრები 10:0 დაწინაურდნენ.

30-ე წუთზე ჯინჭველაშვილმა ჩამორჩენა 3 ქულამდე დაიყვანა: მოედნის ცენტრში გადაცემა ჩაჭრა, ძელებშუამდე ირბინა და გარდასახვაც ზუსტად შეასრულა, თუმცა შესვენებამდე მჭედლიშვილმა ჯარიმა გაიტანა და ხარებმა ტაიმი 13:7 მოიგო.

მეორე ტაიმის დებიუტში მჭედლიშვილმა არეკნი გაიტანა. მასპინძლებმა 59-ე წუთზე ყველაფერი კარგად შეასრულეს, დერეფნიდან ბურთი მარჯვენა ფლანგზე ბოლომდე ჩაათამაშეს და ნიკა გიგაურმა ის ალამთან დაამიწა. გარდასახვა არაზუსტი იყო, მერე ნიკა ბეჟუაშვილმა და ჯინჭველაშვილმა ჯარიმები გაცვალეს, დასკვნითი 10 წუთი არმაზმა შეტევებში გაატარა, თუმცა ხან ბურთი დაკარგა, ხანაც ხარების დაცვა დადგა მაგრად და რუსთაველებმა თამაში 19:15 მოიგეს.

ბაგრატი-ჯიქი 9:22

გორის ჯიქმა 3 უპასუხო ღელო დაუდო ბაგრატს და ქუთაისიდან 5 ქულა წაიღო.

საქართველოს ჩემპიონისთვის თამაში არცთუ კარგად დაიწყო. მიუხედავად ტერიტორიული უპირატესობისა, გორელები ხშირად ჯარიმდებოდნენ და ზვიად ოდიშარიამ 3 ჯარიმა გაიტანა, მათ შორის ერთი ცენტრიდან – 9:0.

ნახევარი საათის თავზე მამუკა ნინიძემ 3 ქულა გაქვითა, ხოლო ტაიმის მიწურულს ჯიქს დაწინაურების შანსი გაუჩნდა: გუჯა კიკვაძემ მეტოქის კონტრშეტევა ჯარიმით შეაჩერა და 10 წუთით სინბინს მიაშურა, სტუმრებმა მოლით შეუტიეს და გიორგი ჭყოიძემ ღელო გაიტანა, თუმცა გარდასახვა არაზუსტი იყო და ბაგრატმა ტაიმი 9:8 მოიგო.

მოსახდენი 50-ე წუთზე მოხდა. ჯიქმა თავისი ნახევრიდან სწრაფი შეტევა წამოიწყო, მარჯვენა ფლანგზე ჭყოიძე გაიქცა, რამდენიმე დარტყმის შემდეგ ბურთი საპირისპირო ფლანგზე ნიკოლოზ ბიწაძეს მიუვიდა, რომელმაც ხაზი სუფთად გაჭრა და მისი ღელო ნინიძემ გარდასახა.

ანგარიში 77-ე წუთზე შეიცვალა და ჭყოიძემ დუბლი მიითვალა. ისევე, როგორც პირველი ტაიმის მიწურულს, სტუმრებმა მოლით შეუტიეს და ქუთაისელებმა მისი შეჩერება ვერ მოახერხეს. ნინიძის გარდასახვა ზუსტი იყო და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა – 22:9.

ლოკომოტივი-აკადემია 18:13

დედაქალაქურ დერბიში ლოკომოტივმა აკადემიას სძლია და სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვა.

პირველმა ტაიმმა რკინიგზელთა სრული დომინირებით ჩაიარა და სხვაობა ბევრად უფრო დიდი იქნებოდა, დამრტყმელს მიზანი რომ გაესწორებინა, მაგრამ 3 გარდასახვა და 1 ჯარიმა გაანიავა. სამაგიეროდ გავიდა 3 ღელო და სამივე მარცხენა ალამთან: ანგარიში მე-12 წუთზე გაიხსნა, ბურთი ხელდახელ ბოლომდე ჩათამაშდა და ბურთი გიორგი შკინინმა დაამიწა; ორიოდე წუთში ლოკომოტივმა მეტოქე კონტრშეტევაზე დაიჭირა, გიორგი ბეგაძემ მოშიშვლებულ ზურგში ბურთი ფეხით გადაკიდა და ის ღელოში ღევან გოგოლაშვილმა დაამიწა; ტაიმის შუაში ფლანგზე კვლავ შკინინი გაიქცა და დუბლი შეასრულა – 15:0.

შესვენების შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. ლოკომოტივი უპირატესობას ფლობდა, მაგრამ მათ შეტევებს ძველებურად სიმწვავე აკლდა და ამით აკადემიელებმა ისარგებლეს. 53-ე წუთზე მათ ხელდახელ შეუტიეს და ანზორ სიჭინავამ ღელო გაიტანა, ხოლო დავით მოძღვრიშვილმა გარდასახვის შემდეგ ჯარიმაც გაიტანა და 61-ე წუთზე სხვაობა 5 ქულამდე დავიდა – 15:10.

ამან დასკვნით წუთებს დაძაბულობა შემატა, ლოკომოტივმა პრემიალურ ქულაზე თამაშს პრაგმატული გადაწყვეტილება არჩია და პირველ ჯერზე ჯარიმა არაზუსტი იყო, თუმცა 77-ე წუთზე საბა ნიკოლავამ რკინიგზელებს გამარჯვება დაუბევა. უკანასკნელ წუთზე მოძღვრიშვილმა მეტოქეს ჯარიმით უპასუხა, 5-ქულიანი სხვაობა აღადგინა და აკადემიას ზედიზედ მესამე მატჩში ნუგეშის ბონუსი მოუპოვა.

ტოტი, პუიოლი, რივალდო — მსოფლიოს ვარსკვლავები თბილისში ბორჯომის ტყის აღდგენისთვის ითამაშებენ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მოწვევით, თბილისს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ფეხბურთის ვარსკვლავები ესტუმრებიან. საქველმოქმედო მატჩი 29 სექტემბერს დინამო არენაზე 21:00 საათზე გაიმართება.

საქართველოს დედაქალაქში ჩამოვლენ: ფრანჩესკო ტოტი, კარლეს პუიოლი, რივალდო, დიდა, ანდრეი შევჩენკო, ხავიერ ძანეტი, ზვონიმირ ბობანი, სერჟინიო, პაოლო მალდინი, ლუკა ტონი, ერნან კრესპო, ვინსენტ კანდელა, მარეკ იანკულოვსკი, ალესანდრო კოსტაკურტა, დემეტრიო ალბერტინი, დინო ბაჯო, მასიმო ამბროზინი, მასიმო ოდო, მარკო დელვეკიო, სებასტიან ფრეი, ანჯელო დი ლივიო, ენრიკო ანონი, კრისტიან აბიატი, სებასტიანო როსი, ჯუზეპე ფავალი, მაურო ტასოტი, ანჯელო კარბონე, ივან კორდობა, დარიო შიმიჩი, იბრაჰიმ ბა და პიეტრო ვერხოვოდი.

მსოფლიოს თერთმეტეული მასპინძელ, ფედერაციის თერთმეტეულს დაუპირისპირდება და საქველმოქმედო მატჩიდან შემოსული თანხა ხანძრის შედეგად დაზარალებული ბორჯომის ტყის აღდგენას მოხმარდება.

ბილეთების გაყიდვა დღეიდან ონლაინ რეჟიმში დაიწყო და მისი ძირითადი ფასი 5 ლარი იქნება. ასევე გაყიდვაშია 10, 15 და 25-ლარიანი ბილეთები.

შედეგები

18 სექტემბერი
ფეხბურთი

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ესპანიოლი-სელტა 2:1

საატჩინიო ცხრილი:

1.ბარსელონა	4	4	0	0	11-1	12
2.სევილია	4	3	1	0	6-1	10
3.სოსიედადი	4	3	0	1	11-7	9
4.რეალი	4	2	2	0	9-4	8
5.ატლეტიკო	4	2	2	0	8-3	8
6.ბილბაო	4	2	1	1	3-1	7
7.ვილიარეალი	4	2	0	2	6-5	6
8.ლევანტე	4	1	3	0	5-4	6
9.ვალენსია	4	1	3	0	4-3	6
10.ლეგანესი	4	2	0	2	3-3	6
11.ლას პალმასი	4	2	0	2	5-7	6
12.ბეტისი	4	2	0	2	5-7	6
13.ვიბარი	4	2	0	2	2-4	6
14.ხეტაფე	4	1	1	2	3-4	4
15.ხირონა	4	1	1	2	3-5	4
16.ესპანიოლი	4	1	1	2	3-8	4
17.სელტა	4	1	0	3	5-7	3
18.დეპორტივო	4	0	1	3	5-11	1
19.მალაგა	4	0	0	4	1-6	0
20.ალავესი	4	0	0	4	0-7	0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

იტალია. სერია ბ

აველინო-ვენეცია 1:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-კევი 2:0

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

პორტიმორენსე-ფეირენსე 2:1

შავიში-მორეირენშე 3:0

ჩეხეთი. პრემიერლიგა

ლოკომოტივი-ამკარი 0:1

ზენიტი-უფა 3:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

იანინა-პანიონიოსი 1:1

თურქეთი. სუპერლიგა

ბეშიქთაში-ქონია 2:0

პოლონეთი. ექსტრაკლასა

ლეხია-იაგელონია 3:3

დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-ორხუსი 1:2

შვედეთი. ალსვენსკა

ესკილსტუნა-სუნდსვალდი 1:2

ნორვეგია. ელიტსერია

ოდ გრელანდი-ალესუნდი 3:2

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ინტერი-ლაჰტი 1:6

იურგენ კლოპი: „სეზონის დასაწყისიდან ყველა თამაშის მოგება შეგვეძლო“

მიუხედავად უამრავი საგოლე მომენტისა და შესაძლებლობისა, ლივერპულმა ინგლისის პრემიერლიგის მორიგ ტურში მაინც ვერ მოახერხა ბარნლის კარში ერთ გოლზე მეტის გატანა და მხოლოდ ქულას დასჯერდა.

დღეს მერსისაიდელთა თავკაცი იურგენ კლოპი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო რესპონდენტია ინგლისში, რადგან მასთან ბევრი კითხვა დაგროვდა.

– ლივერპული ბევრ მომენტს ქმნის, მაგრამ რეალიზებას ვერ ახერხებს.

– უცნაურია, ასე არ უნდა იყოს, მაგრამ ფაქტია, ვერ მოვიგეთ. მატჩის ძალიან ბევრი მონაკვეთით კმაყოფილი ვარ. წინა თამაშთან შედარებით, 7 ფეხბურთელი შევცვალეთ, მაგრამ მაინც ძალიან კარგად ვთამაშობდით, ვუტევდით, ბურთს ჩვენ ვფლობდით, ვდომინირებდით, ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. ყველა შეტევა საგოლე შესაძლებლობით ვერ დასრულდება, მაგრამ ბარნლისთან ბევრი მომენტი გვქონდა. ცხადია, მეტიც შეიძლებოდა. ერთი უკეთესი პასი, უკეთესი გადაწყვეტილება და კიდევ უამრავ შემთხვევაში შეგვეძლო საგოლე მომენტის შექმნა. მაგრამ სიმართლე გითხრათ, რაც ჩემი აქ მოსვლის მერე ბარნლისთან გვითამაშია, ეს საუკეთესო თამაში იყო. ცხადია, შედეგის მხრივ არა, მაგრამ თამაშით ძალიან კარგად ვითამაშეთ. არ გაგვიმართლა, პენალტის დროსაც და სხვა შემთხვევებშიც. ახლა, როცა ხელახლა ვნახე კადრები, მაინც ვთვლი, რომ პენალტი იყო. გვქონდა სხვა მომენტებიც. მოკლედ, ბარნლისთან იღბალს წითელი მაისური ნამდვილად არ სცმია. არ მინდა ბარნლის მიერ თამაშის ბოლოს დარტყმული ბურთები გამომრჩეს. რომ გაეტანათ, ახლა კიდევ სულ სხვანაირად იქნებოდა საქმე. მეტოქემაც და ჩემმა გუნდმაც ძალიან მწყობრი ფეხბურთი ითამაშა. და ერთმა გოლმა ყველაფერი გადაწყვიტა. აი ამაზე უნდა ვიმუშაოთ ყველაზე ბევრი. ვიბრძვით, ვუტევთ, ვთამაშობთ და მერე უცებ ერთი მომენტი, პატარა შეცდომა, არფილდი გაგვეპარა ან გამოგვრჩა და გოლი გადის. ამიტომ გულდაწყვეტილები ვართ.

– ფილიპე კოუტინიო რატომ შეცვალეთ?

– ფორმაში უნდა ჩადგეს. მისი მოედნიდან გაყვანა არ გვინდოდა. ალბათ ცვლილების დროს ცოტა უცნაურად გამოვიდა. მანამდე ვკითხეთ და არაფერი, თითი აგვიწია, კარგად ვარო. თამაში რომ გაჩერდა, მოვიდა და გვითხრა – ალბათ ჯობია, მაინც გავჩერდე. ამიტომაც შეცვლა მოგვიწია.

– შეეძლოთ თუ არა მცველებს გოლის მომენტში უკეთ ეთამაშათ?

– დიახ. მეტოქე მცველებს შორის შეიჭრა, ბურთი ახტა და შემტევიც მზად დახვდა. სწორედ ამაზე მუშაობენ და ვარჯიშობენ ამდენს. უბრალოდ ადგა და დაარტყა, ბურთთან რაიმე ზედმეტი შეხებაც კი არ დასჭირვებია. კარგი გოლი იყო, მაგრამ უკეთ დაცვა შეიძლებოდა.

– იქცა თუ არა ეს 3 თამაში (სიტი, სევილია, ბარნლი) თქვენთვის ლივერპულული კარიერის ყველაზე გულდასაწყვეტ მონაკვეთად?

– შედეგების მხრივ, გეთანხმებით, მაგრამ ჩემი საქმე სწორედ ისაა, რომ ამ უიღბლობაზე რაც შეიძლება ცოტა ვიფიქრო და მეტი ყურადღება გუნდის თამაშს დავუთმო. და ჩვენ ცუდი თამაში არ გვითამაშია. ახლა თუ ასეთი დამწუხრებულნი და გულგატეხილები ვართ, მხოლოდ იმიტომ, რომ ყველამ ვიცით, რისი გაკეთება შეუძლია ამ გუნდს. გუნდში 7 ფეხბურთელი შევცვალე და მაინც ასეთი ფეხბურთი ვითამაშეთ. ნურავინ იფიქრებს, რომ ამის გაკეთება მარტივია. ნათლად ჩანს, რომ ჩვენს გუნდს ძალიან მაღალ დონეზე შეუძლია თამაში, მაგრამ საჭიროა ეს რეგულარულად ვაჩვენოთ და ახლა ყველაზე მეტს სწორედ ამაზე უნდა ვმუშაობდეთ. კიდევ ბევრ ასპექტში შეგვიძლია გავუმჯობესდეთ და მოვუმატოთ. ეს სეზონის წინაც კარგად ვიცოდით. სეზონის დასაწყისიდან მოყოლებული ჩვენ მიერ ჩატარებულ თამაშებს რომ გადახედოთ, ნახავთ, რა დონეზე ვითამაშეთ, იტყვით, რომ ყველას მოგება შეგვეძლო. ეს ძალიან მნიშვნელოვანი რამეა, გუნდი კარგ ფორმაშია. ყველა თამაში არ მოგვიგია და ბოლოს ერთი ძალიან მძიმე მარცხიც განვიცადეთ, მაგრამ ყველამ, ვინც იქ იყო, ნახა, რომ თამაშის პირველი წუთებიდან გამომდინარე ნამდვილად ვერავინ იტყოდა, 5:0-ს წააგებენო. დიახ, ძალიან ბევრ რამეში უნდა მოვუმატოთ, მაგრამ ჩვენს თამაშში ძალიან ბევრი დადებითი მხარეც არის. სამწუხაროდ, ახლა თავს მაინცდამაინც კარგად არ ვგრძნობ და ამ დადებით მხარეებზე ფიქრი მიჭირს, ჯერ ისევ 1:1-ის ხასიათზე ვარ, მაგრამ ხვალიდან, ზეგიდან ისევ ძალიან მარტივი იქნება ამ დადებითი ასპექტების დანახვა. კარგი თამაში არსად არ ქრება და მუდამ გამახსოვრდება. წინ ლესტერია, მერე ისევ ლესტერი, მერე მოსკოვში მივფრინავთ და მერე ნიუკასლთან ვთამაშობთ. თუ შევძლებთ და ამ კარგ ფორმას შევინარჩუნებთ, თან რაღაცებს გამოვასწორებთ, მაშინ, მგონი, ყველამ ნახა, რომ ძალიან კარგად თამაში შეგვიძლია. სხვანაირად არც შეიძლება, ჩვენ აუცილებლად ძალიან კარგად უნდა ვთამაშობდეთ. ეს ვიცი. მაგრამ ისიც ვიცი, რომ ჩვენ მართლა შეგვიძლია ძალიან კარგად თამაში.

„ნიჭიერის“ ჟიური ცნობილია

„ნიჭიერის“ ახალი სეზონი ტელეკომპანია „იმედზე“ დაიწყება. გადაცემის ჩაწერები ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში უკვე დაიწყო. გადაცემა „იმედის“ ეთერში უკვე ოქტომბრის ბოლოდან გავა და მაყურებელს საშუალება მიეცემა, მათ გვერდით მცხოვრები სხვადასხვა ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები გაიცნოს.

შოუს წამყვანები ვანიკო თარხნიშვილი და გიორგი ყიფშიძე არიან. წელს ჟიურიში პროდიუსერებმა დემნა ჯაფარიძემ და გიორგი ხაბურზანიამ მიიწვიეს მსახიობები რუსკა მაყაშვილი და გიორგი ბახუტაშვილი, პრეზიდენტის მეუღლე მაკა ჩიჩუა და მომღერალი სტეფანე მღებრიშვილი.

სტეფანეს „იმედში“ გადასვლამ და „ნიჭიერის“ ჟიურიში გამოჩენამ განსაკუთრებით რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორი **ნიკა გვარამია** გააღიზიანა:

– ნაგვიდან ამოვიღეთ ტიპი, იმენა დავიწყებული და გადაგდებული იყო. ძალით დავსვი პირადად მე, სძაგდა ორივე პროდიუსერს. მეორეჯერ კიდე მეტი ძალისხმევა დამჭირდა. ცალკე კლიპები ვუტრიალეთ და კონცერტები ვურასკრუტკეთ. და ეს სად წამოსკუპებულა. სრულიად ურცხვი. მანანა დოიაშვილი, სოფო ნიჟარაძე, გიორგი გაბუნია, ესეც თქვენი სტეფანე, ტვინი რო გამიბურღეთ, ცოდოა, შემოსავალი არა აქვს, ნიჭიერი და გემოვნებიანია და მსგავსი ყლ..ბებით. აჰა, დატკბით.

ედმონდ მინაშვილი: „თუ გაგრძელდა, 15-20 წელიწადში სოფელი გაქრება“

მსახიობ ედმონდ მინაშვილს საქართველოს სოფლების დაცლის საკითხი აწუხებს და ამ მდგომარეობას სულის ტკივილს უწოდებს:

– მე ახლა ვწერ იმას, რაც ძალიან მტკივა, მტკივა ტკივილზე უფრო მეტად, სულის ტკივილი გქონიათ ოდესმე? გულის ტკივილზე საშინელებაა მერწმუნეთ, სულ მეფიქრება და მადარდებს...

მე, ერთ პატარა იმერულ სოფელში გავიზარდე, ულამაზეს სოფელში; ახლაც მახსოვს ჩემი ბავშვობის დღეები, ჩემი სოფლის შარაგზები, ყველა ქვა და ყველა კენჭი მახსოვს, მახსოვს გლეხების დაკოჟრილი ხელები, რუდუნებით შეკაზმული ორღობეები, ხელით ნათალი სარების უწყვეტი რიგები, მყარად შემაგრებული ღობეები, სიმწიფით აფეთქებული ბროწეულები, შაბიამნით შეწამლული ვაზის ფოთლები და დახუნძლული სავსე მტევნები. სოფლის დაუვიწყარი სურნელი მახსოვს, ზღაპრულად მოვლილი და გადაგრიმული ბაღჩები და საძოვრები, რომელიც პეიზაჟებად რჩება სამუდამოდ ჩემს გონებაში, ვერცერთი მხატვარი ვერ დახატავს ისე იმ სილამაზეს, რომელიც თვალებს შემორჩა გაუმჟღავნებელ ფირებად, სარდაფში მიყრილ მტვრიან პორტრეტებად; გამუდმებით ჩამესმის უწყვეტ ნოტებად მრავალრიცხოვანი ოჯახების ჟრიამული, გადაძახილი ერთი ეზოდან მეორეში, ხვავით და ბარაქით დატვირთული ურმების ჭრიალი, შინაური ფრინველებით გადავსებული ეზოები, ძაღლების ყეფა, ცხენების ჭიხვინი, საძოვრებზე შესეული ცხოველები, ბუხრის საკვამურიდან ამოფეთქებული ნეკერჩხლის და აკაციის სურნელი, სოფლის ცენტრში შეკრებილი უხუცესები და მსჯელობა საერთო საქმისთვის; ხშირად მახსენდება ჩემი სკოლა, ჩემი პირველი მასწავლებლები...

ეჰ, რამდენი რამე და რამდენი ვინმე შემიძლია გავიხსენო... დღეს უმრავლესობა ცოცხალი აღარ არის, ყველა მახსოვს, ყველას თვალები მახსოვს, ყველას ნაამბობი ისტორიები რჩება ჩემში ტომეულებად, მრჩება და არასოდეს გაქრება, თუ რამ ვიცი და თუ რამეს წარმოვადგენ დღეს, ეს ჩემი სოფლის დამსახურებაა, ბავშვობის ბილიკის მონაპოვარი...

სოფელი ნამდვილად არის ცხოვრების სიბრძნე და მთავარი არსი, იქ მკაცრად ისწავლება: ვაჟკაცობა, პატიოსნება, შრომა, სიყვარული, რწმენა, ერთგულება, თავმდაბლობა, პატივისცემა, თავისუფლება და უფროს-უმცროსი, მიყვარს და მენატრება ჩემი ბავშვობა, ჩემი წუთისოფელი.

დღეს, სამწუხაროდ, იშვიათად ვსტუმრობ ბავშვობას, მაგრამ როცა ჩავდივარ, გული მტკივა, სული მეწვის, როცა ვხედავ საზარელ სურათს – მიტოვებული სახლები, შერღვეული ღობეები, რომლებიც ინახავს სევდიან სურნელს, ტყედ გადაქცეული ეზოები – ცუდი სანახავია ძალიან!!!

მეგობრებო, მიგრაციის პრობლემა მწვავედ დგას დღეს, რაც წლები გადის, პრობლემა უფრო და უფრო მწვავდება, თაობა მიდის და ახალგაზრდები ფაქტიურად აღარ დარჩა სოფლებში. ასე თუ გაგრძელდა, 15-20 წელიწადში სოფელი გაქრება, აღარ იარსებებს.

მერწმუნეთ, ვდგავართ დიდი საშიშროების წინაშე, აუცილებლად რაღაც ეფექტური ნაბიჯებია მოსაფიქრებელი და სასწრაფოდ გადასადგმელი, სხვა შემთხვევაში სოფელი აღარ იარსებებს და ქალაქიც სოფლის გარეშე ვერ იქალაქებს, დამეთანხმებით, რომ ძლიერი სოფელი ძლიერი ქვეყნის საწინდარია!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თბილისს წლის ბოლომდე 7 სტადიონი შეემატება

დედაქალაქს მალე რამდენიმე სტადიონი შეემატება. კერძოდ, დიღომში, ოლიმპიური ქალაქის, „ახალი თბილისის“ ტერიტორიაზე საფეხბურთო და სარაგბო მოედნების მშენებლობა ინტენსიურად მიმდინარეობს და წლის ბოლომდე დასრულდება. სულ 7 მოედანი მოეწყობა – 4 საფეხბურთო და 3 სარაგბო.

მოედნების მშენებლობა ზუსტად ერთი წლის წინ დაიწყო, მაშინ სიმბოლური კაფსულა უეფას პრეზიდენტმა ალექსანდ ჩეფერინიმ ჩაუშვა მინისტრ ტარიელ ხეჩიკაშვილთან ერთად. სტადიონები სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში შენდება და თბილისსა და ქუთაისში 10 საფეხბურთო და სარაგბო მოედნის მოწყობას ითვალისწინებს. პროექტის საერთო ღირებულება 10.700.000 ლარია.

გარდა ამისა, თელავში, გორში და ბათუმში წლის ბოლომდე მულტიფუნქციური სპორტის სასახლეები გაიხსნება. სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ყველა მშენებარე ობიექტზე 1.000-მდე ადამიანია დასაქმებული.

მოამზადა მიხეილ ყორჟოლიანმა

ჩინეთში სექს-თოჯინების გაქირავება ვულგარულობის გამო დახურეს

ჩინეთში გახსნილი სექს-თოჯინების გაქირავების სერვისი ორი დღის მუშაობის შემდეგ დახურეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ჩინური გამოცემა ავრცელებს.

– სერვისმა უდიდესი ყურადღება მიიქცია და ინტერნეტში ცხოველი დისკუსიების საგნად იქცა, – ნათქვამია კომპანიის განცხადებაში, რომელმაც თოჯინების შესაკვეთი მობილური დამატება შექმნა, – ჩვენ ინფორმირებულები ვიყავით შესაბამისი ორგანოების მხრიდან, ვთანამშრომლობთ ყველა გამოძიებასთან და მზად ვართ სასჯელისთვის.

კომპანიის თანამშრომლები, რომლებიც პეკინის ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრში სარეკლამო ღონისძიებას ამზადებდნენ, პოლიციამ დაკითხა. მათ დაავალეს და ოფიციალურ საბუთზე ხელი მოაწერინეს, რომ ვიტრინებიდან მოხსნან თოჯინები, რომლებიც პოლიციელებმა ვულგარულად მიიჩნიეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჩვენს საყვარელ **დალი დავითურს**
ვულოცავთ დაბადების დღეს! ვუსურვებთ
ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში:
დღეგრძელობას, ჯანმრთელობას,
წარმატებებსა და უფლის წყალობას!

სიყვარულით,
„ახალი თაობა“

მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

სითხე მენტორი — 4

დაზიანებული თავის კანის შესაზელი სითხე მენტორი 4. წამალი იცავს თავს გამელოტებისაგან. გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: თავის კანის სოკოვანი დაავადება, ქავილი, ქერტლი, ყურის ქავილი, სებორია.

გამოყენების წესი: თავის დაბანის შემდეგ თმა უნდა გაიმშრალოთ და სითხე მენტორი 4 უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. ის აღადგენს დაზიანებულ თავის კანს, ქრება ქავილი, ქერტლი, აწყნარებს თავის კანს და ამაგრებს თმის ძირებს.

☎ 599-73-48-21

ასტროპროგნოზი

20 სექტემბერი

ვერძი – იმპულსურობა, ეჭვიანობა არ გამოგადგებათ. ნუ გარისკავთ. შეცდომის დაშვების ალბათობა დიდია. **კურო** – ვითარების გათვალისწინებით, საკუთარი პრინციპების დათმობა მოგიწევთ, მაგრამ არ ინანებთ. **ტყუპები** – იფრთხილეთ, იოლად ნურავის მიენდობით, არ მოგატყუონ. **კირჩხიბი** – დღეს მხოლოდ დაისვენეთ. მზად იყავით რომანტიკული თავგადასავლებისათვის. **ლომი** – დღის ნეგატიური ტენდენციები გუნება-განწყობას გაგიფუჭებთ. მოდუნდით და ემოციებს არ აჰყვეთ. **ქალწული** – პროფესიულ სფეროში თავს თქვენთვის სასურველი კუთხით ვერ წარმოაჩენთ. იზრუნეთ თვითგანვითარებაზე. **სასწორი** – მშვენიერი დღეა. ივარჯიშეთ, აქტიურად დაისვენეთ. **ღრიანკალი** – საქმიანი კონტაქტებისა და მეგობრული, ასევე ინტიმური შეხვედრებისათვის შესაფერისი პერიოდია. სწორი გადაწყვეტილების მიღებას შეძლებთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. იოლად ნურავის მიენდობით. **თხის რქა** – ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება გეგმების განხორციელებაში ხელს შეგიშლით. ნათესავებთან ურთიერთობაში ბზარი ჩნდება. **მერწყული** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. კეთილისმყოფელი დღეა შემოქმედებითი თვალსაზრისით. **თევზები** – საქმიან სფეროში ახალ, საინტერესო შემოთავაზებას ელოდეთ. აღტყინებული ხართ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. სპორტიანი სასმელების მწარმოებელი ამერიკული ფირმა; 2. აეროპორტი კიევში; 3. ეგრისის სამთავროს დედაქალაქი; 4. ერთმანეთში შეგროვილი ფულით ქეიფი ძველ თბილისში; 5. ბრაზილიური არაყი; 9. ისრაელის დაზვერვა; 11. ძველებური სახელურიანი დასაკეცი სათვალე; 12. მდინარე, ხეობა აფხაზეთში; 14. კუთხე საქართველოში; 18. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 19. ძვირფასი სარეწაო თევზი.

თარაზულად: 4. იტალიელი მოდელიორი; 5. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 6. ისტორიული ქალაქი მცირე აზიაში, სადაც გაიმართა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება; 7. ხელოვნური წყალსაცავი დუშეთის რაიონში; 8. მათემატიკური ორწევრი; 10. უელსის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი; 13. მეტროსადგური თბილისში; 15. ძალიან სწრაფი მუსიკალური ტემპი; 16. ალიასკას ადმინისტრაციული ცენტრი; 17. საჭმელი სოკო; 20. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 21. ნახევარკუნძული შავ ზღვაზე; 22. ეგეოსის ზღვისპირა კურორტი თურქეთში; 23. დიდი ქრისტიანული დღესასწაული.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. „ოჯალეში“; 2. ტულუზა; 3. ბერიკაობა; 4. შანელი; 5. „მალპენსა“; 7. „გეთი“; 11. ტელფერი; 13. სუნიზმი; 15. პუნში; 16. მაშია; 18. საბზა; 19. კიაზო.

თარაზულად: 6. ჯუნგლი; 8. კურსები; 9. ყანჩელი; 10. ერლიფტი; 12. საუნა; 14. ჰიმენე; 17. ბონისტიკა; 20. იკებანა; 21. უშქარი; 22. ზარზმა; 23. მაკარტნი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. „ფორნებუ“; 2. „ცოლიკაური“; 3. საქაროზა; 4. გულჩორა; 5. ჯაკუზი; 9. სტილბი; 11. ბორჩალო; 12. მიკადო; 14. ზოფხიტო; 18. აიეტი; 19. ჰობოი.

თარაზულად: 4. გურონი; 5. ჯოკოვიჩი; 6. ტანგო; 7. კლიენტი; 8. გინესი; 10. სამბო; 13. ბაზაზი; 15. აპნისი; 16. ზიჩი; 17. კანა; 20. ხოხობი; 21. ტორერო; 22. რეტორტა; 23. ორტეგა.

ბავშვთა ჰოსპისისთვის საქველმოქმედო აუქციონი გაიმართება

20 სექტემბერს სასტუმრო „რუმსთან“ ერთად ბავშვთა ჰოსპისისთვის „ციცინათელების ქვეყანა“ დახურული აუქციონი მოეწყობა.

აუქციონზე ოლეგ ტიმჩენკო, ნიკო ცეცხლაძე, მიშა გოგრიჭიანი, მაკა ბატიაშვილი, პაპუნა პაპასკირი, ნინო ჩაკვეტაძე, ლევან ხარანაული და 20-მდე ქართველი მხატვრის არაჩვეულებრივი ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი.

ვინაიდან აუქციონი დახურული იქნება, ნახატების შეძენის და ბავშვთა ჰოსპისის დახმარების მსურველებმა აუქციონის ორგანიზატორებისგან სპეციალური მოსაწვევები უნდა მიიღონ.

გიორგი ნაკაშიძე საავადმყოფოში მოხვდა

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრის მსახიობი გიორგი ნაკაშიძე საავადმყოფოში მოხვდა. ველოსიპედით სეირნობა მას ჯანმრთელობის ფასად დაუჯდა.

ინფორმაცია და ფოტოები საავადმყოფოდან გიორგი ნაკაშიძემ თავად გაავრცელა:

– ველოზე ვსეირნობდი და ისე დავვარდი, თითი, ხელი და მუხლი მძიმედ დავიზიანე. ფაქტიურად დავბარბაცებ, მაგრამ ფენიქსივით აღვდგები.

გია ყანჩელი და ბუბა კიკაბიძე დაჯილდოვეს

ბათუმში საავტორო კინოს რიგით მე-12 საერთაშორისო კინოფესტივალი გაიხსნა. გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ფესტივალის ორგანიზატორებმა კომპოზიტორი გია ყანჩელი და მსახიობი ბუბა კიკაბიძე დაჯილდოვეს. გია ყანჩელი კინოფესტივალის საპატიო სტუმარი იყო. მას მსოფლიო კინემატოგრაფში შეტანილი წვლილისთვის კინოფესტივალის ყოველწლიური სპეციალური პრიზი გადასცეს. საღამოზე შესრულდა კომპოზიტორის მუსიკალური ნაწარმოებები. თეონა ჯორბენაძემ კი მაყურებელს წარუდგინა ფილმი „სევდის ანგელოზები“, რომელიც გია ყანჩელის შესახებაა. ეს არის კომპოზიტორის კინოპორტრეტი, სადაც შესაძლებელია ახლიდან შეიცნო რეჟიმთან ბრძოლის არსი, ემიგრაციის ხიბლი და ამავდროულად საოცარი ნოსტალგია, რომელსაც გია ყანჩელი განიცდის. „სევდის ანგელოზებმა“ მაყურებელში დიდი მოწონება დაიმსახურა და რეჟისორი და ფილმის მთავარი გმირი ხანგრძლივი აპლოდისმენტებით დაჯილდოვდა.

რაც შეეხება ბუბა კიკაბიძეს, იგი კინოფესტივალის ორგანიზატორებმა სპეციალური პრიზით სამსახიობო ოსტატობისთვის დააჯილდოვეს. ჯილდო ვახტანგ კიკაბიძეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ გადასცა და მომავალი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა.

ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალის პირველ დღეს დამსწრე საზოგადოებამ გიორგი ოვაშვილის ერთ-ერთი ბოლო ფილმი „ხიბულა“ ნახა, რომელიც ზვიად გამსახურდიას ცხოვრებას შეეხება და უკვე არაერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე იქნა წარმოდგენილი.

ლევან სონღულაშვილმა გლობალური ხელოვნების დაჯილდოებაზე საკუთარი კანდიდატურა მოხსნა

ამერიკაში მოღვაწე ქართველმა მხატვარმა ლევან სონღულაშვილმა გლობალური ხელოვნების დაჯილდოებაზე საკუთარი კანდიდატურა მოხსნა.

ლევან სონღულაშვილი:

– 11 ნოემბერს დუბაიში იმართება საერთაშორისო თანამედროვე ხელოვნების დაჯილდოების ცერემონიალი „გლობალ არტ ევარდსი“. დაჯილდოება მიზნად ისახავს მსოფლიო მასშტაბით თანამედროვე არტისტების მიღწევების დაფასება-აღიარებას და არტ სცენაზე მათთან თანამშრომლობა-ხელშეწყობას. სპონსორთა შორის არიან „ვოლ სტრიტ ჟურნალი“, „კატარი“ და „არმანი ჰოტელი“.

წელს პირველი ფართომასშტაბიანი „გლობალ არტ ევარდსი“ გაიმართება დუბაის ცენტრში, ბურჯ ხალიფაში. ჟიურის წევრებს შეადგენენ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული ხელოვნების კრიტიკოსები, ხელოვანები, კოლექციონერები, გალერისტები, ხელოვანების მეწარმეები და შუა აღმოსავლეთის ხელოვნების კოლექციონერთა ასოციაციის წევრები.



ზემოთ ნახსენებ ჟიურის წევრთა გადაწყვეტილებით, გლობალური ხელოვნების დაჯილდოებაზე შერჩეულ წლევანდელ ნომინანტებს შორის აღმოჩნდი.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ამერიკაში ვცხოვრობ და წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ექსტრაორდინარი მხატვრის სტატუსის მწვანე ბარათით დამაჯილდოვა, ჩემი კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ ამ მასშტაბურ დაჯილდოებაზე საქართველო წარმომედგინა. შესაბამისად, ჩემი ქართველი სპონსორ(ებ)ი საერთაშორისო პრესაში, მედია საშუალებებში, სოციალურ ქსელებში, კატალოგებში მთელი წლის მანძილზე გაჟღერდებოდა. სამწუხაროდ, საქართველოდან შესაბამისი დაინტერესება ვერ დავინახე და ჩემივე სურვილით მოვხსენი ნომინაცია.

მკაცრად ნუ განმსჯით, თუ მომავალ წელს ჩემი ამერიკელი სპონსორის მხარდაჭერით, დაჯილდოებაზე საქართველოს ვერ წარმოვადგენ.

ასევე, ზაფხულის განმავლობაში კონკურსი მიმდინარეობდა სინგაპურის არტ რეზიდენციაში სამი ხელოვანის შესარჩევად, ერთი მათგანი გრანტითაც ჯილდოვდებოდა, რისი პატივიც მხვდა წილად. ოქტომბერში კი, გერმანული მხარის მიწვევით, სამი თვით ბერლინში მივემგზავრები.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

მუდამ ცოცხალი იქნები...

ცხოვრება ზოგჯერ დაუნდობელი და სასტიკია, თორემ ასეთ კეთილშობილ პიროვნებასთან ჯერ რა უნდოდა სიკვდილს. ადამიანის სიცოცხლე სამყაროსათვის წამია და ის წამი ყოველთვის როდია მშვენიერი. გული გვტკივა, როცა ვიხსენებთ **ომარ ზაქარაიას** ... ღმერთო, ნუთუ იყო?!..

არადა რა ძნელია წარსულ დროში ვილაპარაკოთ ადამიანზე, ვისაც სიცოცხლე უყვარდა, უყვარდა ოჯახი, მეგობრები! ახლა კი მუდმივ სასუფეველში ინაცვლებს. ვინც ომარის ვიცნობდით, ვერასოდეს დავივიწყებთ. ის ჩვენში მუდამ თბილი, ალალი, მომღიმარი, ერთგული და სიყვარულით აღსავსე პიროვნებად დარჩება. წესიერ და პატიოსან ოჯახში გაზრდილი, ბავშვობიდანვე ვერ იტანდა უსამართლობას, ადამიანების დაჩაგვრას, დამნაშავეთა სამყაროს და ყოველთვის ჰქონდა სურვილი მათთან ბრძოლის. ამიტომაც დაუკავშირა თავისი ცხოვრება პოლიციას. სწორედ გამორჩეული წესიერებისა და სამართლიანი ბუნების წყალობით ყოველთვის იმსახურებდა საზოგადოების ნდობას და პატივისცემას.

არასოდეს უწუწუნია პოლიციელის ბედის ანაბრობაზე, არ გვახსოვს, საკუთარი პრობლემა თუ სატკივარი ვინმესათვის თავს მოეხვიოს, თავად კი სხვათა გასაჭირს უმალ იგებდა და ჩუმად, კოლხისათვის დამახასიათებელი სითბოთი აგვარებდა... 1980-1997 წლებში მუშაობდა გალის რაიონულ პოლიციაში, სადაც ჯერ მუშაობდა უბნის ინსპექტორად, არასრულწლოვანთა საქმეთა ინსპექტორად, ოპერმუშაკად, იმ პერიოდის რამდენი ფათერაკი, განცდა, უძილო ღამეა გასახსენებელი, რამდენჯერ გაიარა ომარ ზაქარაიამ თავისი სიცოცხლე ბეწვის ხიდზე, მეტ-ნაკლებად საშიშ კრიმინალებთან ბრძოლაში.

ომარ ზაქარაია პოლიციის ერთგული კაცი იყო, მან კარგად იცოდა, რაოდენ მძიმე და შეუფასებელია პოლიციელის შრომა, ამიტომაც ყოველთვის თავად პოულობდა საჭირო ქმედებას და სიტყვას ყველას გასამხნევებლად. ჩვენ კი ნამდვილად ვერ ვპოულობთ იმ სიტყვას, რომელიც ამ დიდ ურვას დაიტევს და ნუგეშად იქცევა, პირველ რიგში, მისი ძვირფასი მეუღლის, ქალბატონი მანანასათვის, რომლის დამსახურებაც იყო ის, რომ მათ ოჯახში ხშირად შეკრებილ მეგობრებს შემოათენდებოდათ ხოლმე. სათქმელი ბევრი გვქონდა, მისთვის ყველაზე დიდი სატკივარი აფხაზეთი იყო.

ისე ძალიან ეფიქრებოდა აფხაზეთი, რომ მძიმე სენით დაავადება ბოლომდე ვერ გაითვითცნობიერა, ორი თვე თვალებში უყურებდა სიკვდილს და მხოლოდ ბოლო დღეებში თქვა: „მგონი, ვერ დავბრუნდები აფხაზეთში“. ათასში ერთხელ მაინც წასცდებოდა სიტყვა მისთვის ძალიან მტკივნეულ თემაზე, იმ ტკივილზე, რომელიც საფლავში ჩაჰყვა, და მხოლოდ უახლოეს ადამიანებს უმხელდა. ეს იყო განსაკუთრებით მშობლების სიყვარული, რომელიც საბედისწეროდ აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის შემდგომ სამურზაყანოში, გალში დარჩნენ, მამამისი ავადმყოფობდა და კერია არ მიატოვა, ფაქტიურად ტრაგედიიდან ერთ წელიწადში გარდაიცვალა. მაგრამ, ომარმა იგი ვერ დაიტირა. აფხაზებმა მას უარი უთხრეს უკანასკნელ გზაზე გაეცილებინა საკუთარი მამა. დედამ კი, საფლავს პატრონი სჭირდებაო, და არ წამოვიდა თბილისში შვილებთან და შვილიშვილებთან, ორი წლის წინ დედაც გარდაეცვალა. ცდილობდა, დედისათვის მაინც მიეგო პატივი და მამის საფლავზეც მისულიყო. თითქოსდა შეთანხმება მიღწეული იყო, მაგრამ ბოლო წუთს ისევ უარი მიიღო.

საპატრიარქოს საავადმყოფოში, თერაპიული კლინიკის ერთ-ერთ პალატაში, სიკვდილის წინ საუკეთესო მეგობარ იგორ გვაგვალიას დაემშვიდობა, პოლიციაში გატარებული წლები გაიხსენა, „შეკრული კოლექტივი გვქონდა, ერთმანეთის კარგად გვესმოდა, ასეთი მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნეთ, გაუფრთხილდით ერთმანეთსო“ – დაუბარა მან ადამიანს, რომელიც გამორჩეულად უყვარდა. ომარი ყველაზე მეტად მეგობრობას აღმერთებდა და ამის საუკეთესო მაგალითს გვაძლევდა.

მოუშუშებლად ენატრებოდა სამურზაყანო, ქალაქი გალი, მისი სოფელი დიხაზურგა, სადაც დაიბადა და გაიზარდა, აფხაზეთის მიწა, რომელიც საუბედუროდ ვერ დაეყრება გულზე! გვჯერა, უფალი ომარის სულს ცათა სასუფეველში დაავანებს, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ!

„მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია“. ომარ ზაქარაიას დარჩა შეუბღალავი სახელი, ამიტომაც მის ხსოვნას დავიწყება არ უწერია. მასზე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან თავისი სიცოცხლით ღრმა კვალი დაამჩნია ამ ქვეყნად დარჩენილთა ცხოვრებას და სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს აქ დატოვებულ კეთილ საქმეთა მეშვეობით. ომარს არც სიცოცხლის შეშინებია არასდროს და არც სიკვდილის, რადგან უფრო მაღლა იდგა ამ ყველაფერზე და ჩვენც, თავისი გარდაცვალებით, კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ მარადიულია „არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ მეგობრობა“. ვაგლახ, რომ ისღა დაგვრჩენია, უკანასკნელად მოვიხადოთ სამეგობრო ვალი და შემდგომ სამუდამოდ გამოვეთხოვოთ.

შს გალის რაიონული სამმართველოს თანამშრომლები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

პროგრამა

ოთხშაბათი 20 სექტემბერი

06.00 მუსიკა პირველზე **06.30** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **07.30** "ნამდვილი დრო" **08.00** ანიმაცია. "მხიარული ფერმა" **09.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **09.15** ტ/სერ. "**წინ" წარმატებისაკენ" 10.00, 03.10** "პირადი ექიმი" **11.00** ტ/სერ. "**ჩენგო ვეტრინე" 12.30, 04.10** დღის მხ/ფ "**პიგმალიონი" 14.30** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 05.40** დოკ/ფ "შეგვიძლია თუ არა მარადიულად ცხოვრება" **16.15** დოკ/ფ "ბრძოლა ვეშაპების გადასარჩენად" **17.00** ტ/სერ. "**ოფისი" 18.30** "ტელებლოგი" **19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო" 20.40** "სპორტის დაფა" **21.00** "არჩევნები" **22.30** ტ/სერ. "**ცხიერი მოახლეები" 23.30** მხ/ფ "**მეგრძოლი თევზი" 01.10** მხ/ფ "**ერთხელ წრეზე"**

06.30 სერ. "**ღირსების სახელით" 07.30, 08.15, 09.20** იმედის დილა **08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.50** ქრონიკა **10.10** სერ. "**პატარძალი" 11.20** სერ. "**ფიცი" 12.30** იმედის დღე **14.40** სერ. "**ელიფი" 17.35** სერ. "**ხაფანგი" 18.50, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება" 21.00** სპორტი **21.08** ამინდი **21.10** სერ. "**ძმა" 22.00** პრაიმშოუ **23.30** მხ/ფ "**ვაისი"** პრემიერა **01.15** მხ/ფ "**სიყვარული ზომების გარეშე" 03.05** მხ/ფ "**წითელი განთიადი" 04.35** მხ/ფ "**ჩვენ მეგობრები ვართ"**

06.00, 18.50 სერ. "**დესპოტი ქმარი" 07.00, 20.03** სერ. "**დედამიწა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი" 12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ფერიპას საიდუმლო" 15.30** სერ. "**წარსულის ჩრდილი" 16.55** სერ. "**უსასრულო მოლოდინი" 22.00** ნანუკას შოუ **00.00, 01.00** მხ/ფ **01.30** კურიერის დაიჯესტი **02.00** მხ/ფ

08.00 ან/ფ "ვარსკვლავური ომები **2" 09.00** სერ. "**ცისფერი სისხლი" 11.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები" 13.00** სერ. სერ. "**ძვლები 6" 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება: ეჭვმიტანილის ძებნა" 19.00** სერ. "**ცისფერი სისხლი" 21.00** სერ. "**სპირალი 2" 5** სერ. **22.30** მხ/ფ "**პრესტიჟი" 01.00** მხ/ფ "**საკანი" 03.00** მხ/ფ "**გოგონა წყალში" 04.40** მხ/ფ "**ილბლიანი" 06.15** მხ/ფ "**დიდი ნახტომი"**

08.00 ანანდა **08.10** მულტფილმი **08.20** მულტ/სერ. "ლეკვი ჩემს ჯიბეში" **09.00** სერ. "**ბანდოლერა" 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55** ტელემარკეტი **11.00, 13.00, 17.00, 19.00, 01.00** ახალი ამბები **12.00, 2.30** ბიზნესკოდი **14.30** ექიმის საათი **15.00, 01.30** მოდი გავეყაროთ **16.00, 3.10** ფაბრიკა **18.30** სერ. "**ყველაფერი ცხოველების შესახებ" 19.55** მე რომ ვიყო **20.00** თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " **21.00** სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის" 22.00** სერ. "**ჯადოსნური ამბავი" 23.00** ინტერვიუ ვანიჩკასთან **00.00** სერ. "**შავი სია" 4.10** ცენზურის გარეშე

06.15 დროის ჩანაწერები "შალვა კარმელი, დინი ვირსალაძე" **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი "დიმიტრი შევარდნაძის საეკლესიო ხელოვნება" I ნაწ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** დ/ფ "ვლური ბუნება-ცხოვრება ასაფრენ ზოლზე" **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ეპოქა და ადამიანები **10.40** საქართველოს დაცული ტერიტორიები " ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის მცენარეები" **11.10** მიწათმოქმედი "სტევიის წარმოება" **11.25** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია "ნიკოლოზ ახალკაცი" **13.00** გაცოცხლებური წარსული "რეპრესირებული ფოლკლორი" **13.30** ან/ფ "**101** დალმატინელი" **14.40** გამოყენებითი ხელოვნება "კერამიკა" **15.05** ქართული ან/ფ **15.25** დ/ფ "ბარტ ვუღფი-ჩრდილოეთ კალიფორნია" **15.50** აქტუალური თემა "ბილწსიტყვაობა" **16.10** კონცერტი "ეროვნული სიმფონიური ორკესტრი" **17.40** ჩვენი ფონდი "დიმიტრი შევარდნაძის საეკლესიო ხელოვნება" I ნაწ. **18.10** საქართველოს ქალაქები "სიღნაღი" **18.40** ძველი ათქმის განმარტება **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.15** მხ/ფ "**საპაერო ხიდი" 20.35** ძილი ნებისა "ბატი ტასიკო" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** ქვეშით ნაამობი **21.35** ეპოქის სახელები **22.20** ქართული ალბომი **22.45** საუფლონი "ღვთისმშობლის შობა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. მხ/ფ "**თეთრი ძვები" 23.35** სადღესასწაულო სახარების განმარტება "ღვთისმშობლის შობა" **00.00** საეკლესიო კალენდარი **00.30** დ/ფ "ვლადიერნას სამოსელი" **01.30** მხ/ფ "**ჭრიჭინა"**

10.00- 03.00 ახალი ამბები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.30 - 02.30** ბიზნესი **1** (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.45 - 02.45** ტექნოლოგიები (განმეორება ყოველ ერთ საათში) **10.50 - 02.50** სპორტი**1** (განმეორება ყოველ ერთ საათში) **11.00 - 23.00** ახალი ამბები **-** მთავარი თემა **2** (განმეორება ყოველ ორ საათში) **22.00** ცეცხლის ხაზი **23.12, 00.15, 01.15, 02.15, 03.15,** უცხოეთის ამბები

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 სექტემბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.4727

ევრო — 2.9561

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.3473

100 რუსული რუბლი — 4.2894

ამინდის პროგნოზი 20 სექტემბრისთვის



14 სექტემბრიდან

ელენე ახვლედიანი

მაღალი პოლიგრაფიული დონით შესრულებული ალბომი არაჩვეულებრივი საჩუქარია მხატვრის თაყვანისმცემლებისთვის და არამარტო მათთვის.

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

19 სექტემბრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი „მგლის ბილიკი“

ქართული დეტექტივი, ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

21 სექტემბრიდან

გიგო გაბაშვილი

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

22 სექტემბრიდან

ალექსანდრე იასაღაშვილი შავი ვარდი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

ედენ აზარი საფრანგეთში დაბრუნებას არ გამორიცხავს

ჩელსის ბელგიელი ვარსკვლავი ედენ აზარი საფრანგეთში დაბრუნებას არ გამორიცხავს. აზარის თქმით, ის ჩელსიში ბედნიერია, მაგრამ თუ მან საფრანგეთში თამაში გადაწყვიტა, ის მხოლოდ ყოფილი გუნდის, ლილის, ღირსებას დაიცავს.

– ჩელსიდან წასვლაზე არ ვფიქრობ, რადგან აქ ყველაფერი მაქვს იმისთვის, რომ ბედნიერი ვიყო. ერთადერთი ფრანგული გუნდი, სადაც შესაძლოა ვითამაშო, ლილია, რადგან ამ კლუბთან ძალიან კარგი მოგონებები მაკავშირებს, – განაცხადა აზარმა.

ჩელსიში გადასვლამდე აზარი სწორედ ლილის ღირსებას იცავდა და ამ გუნდში მან უამრავი შეხვედრა ჩაატარა.

ჩელსიში ედენ აზარი 2012 წელს გადავიდა და მას შემდეგ ის ლონდონელების ერთ-ერთი მთავარი მოთამაშეა.

ვალვერდე: „დემბელეს უნდა ეთქვა, რომ ტრავმა აწუხებდა“

ბარსელონას მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ უსმან დემბელეს ტრავმაზე ისაუბრა და თქვა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელს უფრო მეტი ყურადღების გამოჩენა მართებდა.

– დემბელეს უნდა გავეფრთხილებინეთ, თუ ტრავმა აწუხებდა, მაგრამ ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და გამოცდილება აკლია. დროთა განმავლობაში ის ყველაფერს ისწავლის, მანამდე კი მინდა მას გამოჯანმრთელება ვუსურვო, – განაცხადა ვალვერდემ.

დემბელემ ტრავმა ხეტაფესთან თამაშის დროს მიიღო და როგორც შემდეგ გახდა ცნობილი, მას ტრავმა მატჩის დაწყებამდეც აწუხებდა.

დემბელე მოედანზე, სავარაუდოდ, იანვარში დაბრუნდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

ორი დეპუტატი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისია!

– რას მეუბნები!? და რომელში?

•••

რუსი მამა-შვილი სადილობს. ბავშვმა ხელი კარტოფილისკენ გაიწოდა და შემთხვევით არყის ბოთლს წამოსდო. ბოთლი შეტოკდა, გადაქანდა, მაგრამ არ წაიქცა.

შვილი მამას სიცილით ეუბნება:

– მამა, ნახე, ბოთლი ბეწვზე გადაურჩა სიკვდილს.

– შენც!

•••

პაციენტი ექიმს ეკითხება:

– ექიმო, ისეთი რა ავადმყოფობა მჭირს, რომ ჩემი განკურნება არ შეგიძლიათ?

– უფულობა, უფულობა.

•••

ზანგი ქუჩაში დგას და რძეს სვამს. ამ დროს კახელმა ჩაუარა, შეხედა და მიაძახა:

– ჯო, ეგ ვერ გიშველის, ვერა.

•••

შვილი დედას ეკითხება:

– დედიკო, ვინ არის ის თვალებჩაწითლებული მამაკაცი?

– მამაშენია, შვილო.

– რა, ავად არის?

– არა, ინტერნეტშია ჩართული.

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– გოგონი, დიდი ხანია თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცს ელოდები?

– დიახ.

– ჰოდა, აი, მეც მოვედი.

– მაგარია და პრინცი სად არის?

•••

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ჩემი წერილი არ მიიღე?

– მივიღე, მაგრამ შენ ხელწერას ვინ გაარჩევდა? აფთიაქში მივიტანე გასაშიფრად და ფენაზეპამი მომცეს.

•••

კუთხეში მდგომი პატარა ბავშვი დედას ეკითხება:

– დედიკო, არ გეჩვენება, რომ არასწორად დამსაჯე?

– არა!

– არადა, აი ბავშვი დგას კუთხეში და ცუდს ფიქრობს თავის მშობლებზე, და შენ ეს გინდა?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

13 სექტემბრიდან

ქართული ჰაგიოგრაფია

წიგნში თავმოყრილია სამი ჰაგიოგრაფიული ძეგლის – „შუშანიკის წამების“, „აბოს წამებისა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ – პარალელური ტექსტები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს ძველ ქართულ ორიგინალს, ხოლო მეორე – ახალ ქართულ ენაზე შესრულებულ უზუსტეს ვერსიას.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

15 სექტემბრიდან



ედუარდ ლირი ბუკნაჭო და ფისუნია

კრებულში შესულ ყოველ ლექსს განთქმული მხატვრის, რობერტ ინგპენის, ხალისიანი ილუსტრაციები ამშვენებს.

წიგნი ბრწყინვალე საჩუქარია პატარებისთვის, რომელიც მათ კიდევ მრავალი საუკუნის განმავლობაში განუვითარებს წარმოსახვის უნარს.

ფასი გაზეთთან ერთად 6 ლარი

რობერტ ლევანდოვსკი რეალში არ გადავა

მიუნხენის ბაიერნის პოლონელი ფორვარდი რობერტ ლევანდოვსკი ბაიერნიდან წასვლას არ აპირებს. ლევანდოვსკის რეალში ტრანსფერზე ბოლო წლების მანძილზე ბევრს საუბრობდნენ, მაგრამ თვითონ ფეხბურთელმა ეს ყველაფერი უარყო და თქვა, რომ ბაიერნიდან წასვლას არ აპირებს.

ლევანდოვსკიმ ერთ-ერთ ინტერვიუში ბაიერნის ხელმძღვანელობა გააკრიტიკა და თქვა, რომ გუნდი არ ყიდულობს ძლიერ ფეხბურთელებს, რის შემდეგაც დაიწყო საუბრები პოლონელი ფორვარდის შესაძლო ტრანსფერის შესახებ, მაგრამ ეს ყველაფერი ჭორი გამოდგა.

მარიო ბალოტელიმ ნეიმარი გააკრიტიკა

ნეიმარის და ედისონ კავანის მცირე კონფლიქტმა საფეხბურთო სამყარო დაინტერესა და ამ ინციდენტს ბევრი გამოხმაურება მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ კავანიმ ნეიმარს პენალტის დარტყმის საშუალება უკვე მეორედ არ მისცა.

სკანდალურად ცნობილმა ფეხბურთელმა მარიო ბალოტელიმ თავისი მოსაზრება გამოთქვა და მისი აზრით, ნეიმარს არა აქვს უფლება, თერთმეტმეტრიანების შესრულება მოითხოვოს.

ბალოტელისგან ასეთი რამის მოსმენა ოდნავ უცნაურია, რადგან თავის დროზე მას არაერთხელ მოსვლია კონფლიქტი თანაგუნდელებთან იმის თაობაზე, თუ ვინ დაარტყამდა ჯარიმას ან თერთმეტმეტრიანს.

2019 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი, შესაძლოა, ბაქოში გაიმართოს

2019 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალს ჯერჯერობით არ ჰყავს მასპინძელი, მაგრამ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ შეხვედრას აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო უმასპინძლებს.

ბაქოში არსებული სტადიონი 69 ათას მაყურებელს იტევს და ის უეფას ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. ჩემპიონთა ლიგის ფინალის მასპინძლობაზე პრეტენზია აქვს მადრიდის ატლეტიკოსაც, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ახალი სტადიონი ოფიციალურად გახსნა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ატლეტიკოს ახალ სტადიონზე არასაკმარისი ვიპ ადგილებია.

ჯოსვოიდი 5



შვეულად: 1. ქართველი მევიოლინე ქალი; 2. ებრაელთა ახალი წლის სახელწოდება; 3. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 4. ერთ-ერთი მთავარი ღვთაება ინდუიზმში; 5. საკრედიტო დაწესებულება; 7. ელექტროდენის სიმძლავრის საზომი ერთეული; 11. ზღვის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 13. ყოველდღიური გაზეთი პორტუგალიაში; 15. ქართული ბანკი; 16. ყველაზე მრავალრიცხოვანი ინდიელთა ტომი პერუ, ბოლივია, ეკვადორში; 18. დადუღებული ყურძნის წვენი; 19. რძის პროდუქტების მწარმოებელი ფინური ფირმა.

თარაზულად: 6. მეტროს სახელწოდება ინგლისსა და აშშ-ში; 8. მუსლიმთა ერთ-ერთი მთავარი დღესასწაული; 9. ჩინეთში წარმოშობილი ქაღალდიდან ფიგურების შექმნის ხელოვნება; 10. ბრიტანეთის ძველი სახელწოდება; 12. ინდოეთის ეროვნული გმირი; 14. ფრანგი მხატვარი, ფოტოგრაფიის ერთ-ერთი გამომგონებელი; 17. მინერალური წყალი საქართველოში; 20. ჰაერში დაგროვილი შესქელებული წყლის ორთქლი; 21. ცისკრის ვარსკვლავის ძველი ქართული სახელწოდება; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 23. კომუნიკაციის მასობრივ საშუალებათა ერთობლიობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა